# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 8 მარტი 2007 №51 (2974) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



# მიშელ!

## უეფას პრეზიდენტო, ბატონო პლატინი

## შენ ხარ იქ, სადაც შენზე ერთი აზრია: ის იყო ძალიან, ძალიან დიდი!

AFP თბილისიდან

# პლატინის თავგადასავალი ძველ-ახალ დედაქალაქში













მიშელ პლატინი საქართველოშია — უეფას ახალარჩეულმა პრეზიდენტმა გუშინ ლამის მთელი თბილისი და მისი შემოგარენი შემოიარა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აშკარას, პირველებმა ჩვენ განვაცხადეთ ხმამაღლა, რომ პლატინის კანდიდატურას ვუჭერდით მხარსო. ფრანგმა კი სამადლობელი იმით გადაიხადა, რომ უეფას პრეზიდენტის რანგში პირველად საქართველოს ესტუმრა.

14 საათი ხდებოდა, ევროპული ფეხბურთის პირველკაცი თანმხლებ პირებთან ერთად ჩარტერული რეისით თბილისის აეროპორტში რომ ჩამოფრინდა. იქ პლატინი დიდხანს არ გაჩერებულა, ესკორტის თანხლებით სასტუმრო „თბილისი მერიოტში" გამოეშურა დასაბინავებლად.

სასტუმროს ფოიეში კი ოფიციალურ პირებს რა დალევდა: სფფ-ის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, გენერალური მდივანი უჩა უგულავა, ოთხივე ვიცე-პრეზიდენტი — რევაზ არველაძე, დიმიტრი რამიშვილი, გოგი ქავთარაძე, გრიგოლ ცაავა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელები — კლაუს ტოპმიოლერი, პეტარ სეგრტი, ჰაინც ტოპმიოლერი, რალფ მინგე... სწორედ „თბილისი მერიოტში" შეხვდნენ პლატინის საქართველოს კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის მინისტრი გიორგი გაბაშვილი და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური. საუბარი დაახლოებით 15 წუთს გაგრძელდა და, ცხადია, ჟურნალისტები არ დაგვასწრეს.

მერე იყო გამგზავრება საგურამოში, მშენებარე სანაკრებო ტექნიკური ცენტრის მონახულება. ახალკაცმა პლატინის ბაზის მაკეტი გააცნო: ჩვენი მხრივ გეტყვით, რომ იქ სამუშაოები ახალდაწყებულია, ისე კი, სამი მინდვრის გაკეთება იგეგმება.

ბაზიდან გამოსვლისას ერთ-ერთმა მუშამ სამახსოვრო ავტოგრაფიც მიიღო პლატინისგან.

საგურამოდან ესკორტმა მცხეთას მიაშურა, სადაც ოფიციალურ პირებს ბიზნესმენი ელგუჯა ბუბუტეიშვილი და ტყუპისცალი არველაძე, არჩილი შეუერთდათ. მწერალ ჟურნალისტებსა და ფოტორეპორტიორებს რიგიანად მუშაობის საშუალება არ მოგვეცა და სხვაგვარად არც ველოდით — ფრანგი ლეგენდა დღეს გამართავს პრესკონფერენციას და სათქმელსაც იქ იტყვის.

მცხეთიდან თბილისში დავბრუნდით: მუსიე მიშელმა ტექნიკური ცენტრი „ბასა" მოინახულა.

რვის ნახევრისთვის უეფას პრეზიდენტი თანმხლებებთან ერთად ვაკეში, მინი-მოედან „ირაოს" ესტუმრა და ქალ მოყვარულ ფეხბურთელთა ტურნირი გახსნა. ფრანგ პრეზიდენტს რამდენი ქომაგიც ვაკეში დახვდა, იმდენი, ვგონებთ, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე არ დადის. თუმცა მიშელ პლატინი „ირაოზე" დიდხანს არც გაჩერებულა, ბურთი გაათამაშა, ნორჩებს მიესალმა, სამახსოვრო ფოტოები გადაიღო, ავტოგრაფები ჩამოარიგა და იქაურობა ტაშის გრიალში დატოვა. ისე, პლატინისთვის ქართული მინი-მოედნები უცხო არ არის, თბილისში პირველი ვიზიტისას ხომ ძმებ არველაძეებთან, ალენ ჟირესთან და გია გურულთან ერთად ფიზკულტურის აკადემიის მოედანზეც უბურთავია...

„ირაოდან" ფრანგი პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს ესტუმრა და დაახლოებით ერთი საფეხბურთო ტაიმის განმავლობაში ესაუბრა. თუმცა რა ითქვა ამ შეხვედრაზე, ვერ გეტყვით, ალბათ ზოგადი საუბარი იქნებოდა.

ამ მისვლა-მოსვლების შემდეგ კი მიშელ პლატინი სავახშმოდ რესტორან „მეიდანში" ინვიეს — თამადა გიორგი გაბაშვილი იყო.

დღეს მიშელ პლატინი ეროვნულ სტადიონს დაათვალიერებს, იქვე პრესკონფერენციას გამართავს, ნაშუადღევს კი ათენს გაემგზავრება.

**ილია ნანოგაშვილი**
**კობა ინასარიძე**
**ბადრი კეთილაძის** ფოტოები

# შოთა არველაძე: გოლწრფელი კაცის გულწრფელი სიტყვები — ჭკვიანი ხალხის ნაკლებობამ კონფლიქტები იცის




დღეს „ნიუკასლი" — „ალკმაარს" ხვდება. უეფას თასის მერვედფინალური მატჩებიდან ეს ერთ-ერთი გამორჩეული მატჩია, რადგან ორივე გუნდს შეტევისკენ მიუწევს გული. ამ მხრივ „ალკმაარი" მერვედფინალისტებიდან ყველას სჯობს, ჯგუფური ეტაპიდან მოყოლებული, 21 გოლი გაიტანა. რუსული ჟურნალი „პრო სპორტი" შოთა არველაძეს დაუკავშირდა და მატჩის წინ პოლიტიკაზე, ფეხბურთზე და... ულვაშზე ესაუბრა

— თქვენი იღბლიანი კარიერა სამაგალითოა. გოლი გოლზე გაგაქვთ ყველგან, სადაც კი გითამაშიათ. ბევრს ეგონა, რომ „ალკმაარში" ვერ გაიბრწყინებდით, მოკრძალებული კლუბია და დიდ ჯილდოებს ვერ შესწვდებაო...

— ადრე მართლაც მოკრძალებული გახლდათ. „ალკმაარში" წელიწადნახევრის წინ იმიტომ გადავედი, რომ იქ ლუის ვან გაალი იყო, მის გუნდში თამაში და მისგან სწავლა მსურდა. პირველივე სეზონი ძალიან საინტერესო გამოვიდა. შარშან კი შემადგენლობა საგრძნობლად გაძლიერდა — რვა ახალი ფეხბურთელი შემოგვემატა. ყველა აღიარებს, რომ ძალიან ლამაზად ვთამაშობთ. ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგაში გასვლაა. ჰოლანდიური პლეი ოფის სისტემის გადამკიდე, შეიძლება, ლიგაში პირდაპირ ვერ მოვხვდეთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემით თუ უჩემოდ „ალკმაარი" მთავარ საკლუბო ტურნირში ითამაშებს.

— უთქვენოდ? არ გამორიცხავთ, რომ კარიერა წლეულს დაასრულოთ?

— არ გამოვრიცხავ. ორი კვირის წინ ხომ 34 შემისრულდა.

— და რას აპირებთ შემდეგ?

— თბილისში დავბრუნდები.

— ჰოლანდიაში სად ცხოვრობთ?

— ამსტერდამში. ალკმაარში ჩასვლას კი ნახევარი საათი სჭირდება. ჰოლანდია არა მარტო კოხტა, არამედ კომპაქტური ქვეყანაა, თუმც შოტლანდიიდან კომფორტისა და სილამაზის გამო არ დავბრუნებულვარ. „აიაქსში" გატარებულმა წლებმა ტკბილი მოგონებები დამიტოვა და ამიტომ დავბრუნდი ჰოლანდიაში. საქართველოში კი იშვიათად ვარ, მხოლოდ სანაკრებო შესარჩევ მატჩებზე, ამხანაგურებზე ჩასვლას ვეღარ ვახერხებ. საკლუბო ფეხბურთს ძალიან ბევრი დრო მიაქვს.

— „აიაქსი" არ არის ამსტერდამის ერთადერთი ღირსშესანიშნაობა. გულახდილად გვითხარით, კოფეშოპს სტუმრობთ ხოლმე?

— არა, სიგარეტს არ ვეწევი და ბოლსაც ვერ ვიტან. ჩემს ავტომობილშიც კი აკრძალულია მოწევა, ასე რომ, ჯანმრთელი მოვკვდები.

— მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზაციის შემდეგ ჰოლანდიის ჩემპიონატში დოპინგ-კონტროლს ატარებენ?

— რა თქმა უნდა! ნარკოტიკების ლეგალიზაცია ფეხბურთში წესებს ვერ შეცვლიდა. ყოველკვირა არა, მაგრამ ხანდახან გვაკონტროლებენ. მაგალითად, „აიაქსთან" მატჩის მერე ორი ალკმაარელი დოპინგზე შეამოწმეს.

— სხვათა შორის, „აიაქსთან" მუშკეტერივით ულვაში გქონდათ, რატომ?

— თებერვალში ჰოლანდიაში კიბოს საწინააღმდეგო აქცია გაიმართა და მთხოვეს, ულვაში არ გამეპარსა. სიტყვა არ გავტეხე და მთელი თებერვალი ასე გავატარე, ახლა კი უკვე გაპარსული ვარ.

— მოსკოვში ქართველების დევნა რომ დაიწყეს, რომელიმე თქვენი ახლობლის გამო ნერვიულობდით?

— ეს რომ გავიგე, გული მეტკინა. მოსკოვში ბევრი მეგობარი მყავს და, როგორც ვიცი, რეპრესიებს გადაურჩნენ. ეს ყველაფერი ბრიყვული საქციელი იყო, რაც რუსეთშიც კარგად იციან.

— როგორც რუსეთში ამბობენ, საამისო მიზეზი ჰქონდათ, ჩვენ და საქართველო მეგობრები აღარ ვართო...

— უცნაურია. მე რუსი მეგობრებიც მყავს, ჰოლანდიელებიც და სომხებიც. მშობლებსა და და-ძმებს ვერ აირჩევს ადამიანი, მეგობარს — კი. რუსეთი და საქართველო მეგობრობდნენ და რატომღაც კავშირი გაწყდა. რუსეთი დიდი და ძლიერია, მსოფლიო პოლიტიკას მართავს და რა უნდა ავნოს მას საქართველოსთანა პატარა ქვეყანამ?!

— რა და, მაგალითად, ნატოს ბაზები განალაგოს საკუთარ ტერიტორიაზე...

— და მერე რა?! ვის რას უშლიან?! ნატო რომ შემოვიდეს, რამე მოხდება? ომს დაიწყებენ? იმას, ვინც რუსეთს ომს გამოუცხადებს, ყველაზე დიდ სულელს დავარქმევ. საქართველო რუსეთის მეზობელია და ვერაგულად არ მოიქცევა.

— ჩვენ, უბრალო ხალხი, ხომ არ ვჩხუბობთ...

— ასე ვიტყოდი: ძალიან მიყვარს რუსეთი, მისი კულტურა და ენა. ჩემი შვილი ამსტერდამში დაიბადა, ოთხი წელი ბრიტანეთში იცხოვრა, ახლა ისევ ჰოლანდიაში დავბრუნდით, მაგრამ რუსულს მაინც ვასწავლით — მასწავლებელი მოდის საამისოდ სახლში, რუსულს იმიტომ კი არ სწავლობს, რომ აუცილებელია, არამედ იმიტომ, რომ ქართველია და რუსულ კულტურას უნდა იცნობდეს. ბევრი რუსი ნაცნობი მყავს თქვენს ქვეყანაში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რუსული პასპორტი რომ მოვითხოვო, არ მომცემენ. აფხაზებს კი სიხარულით აჩეჩებენ. ზოგჯერ მიწვევის გარეშე ვიზასაც კი არ მაძლევენ. უბრალოდ დასათვალიერებლად მოსკოვში ან პეტერბურგში ოჯახით ჩასვლას ვერ შეძლებს კაცი. ეს ხომ მხოლოდ ვიზაა, ვიღაცებს კი პასპორტს პირში სჩრიან. ხალხი, მათ შორის პოლიტიკოსები, ამას ხედავენ და ბრაზობენ. ჭკვიანი ხალხის ნაკლებობაა და კონფლიქტებიც აქედან მოდის.

— მიხეილ სააკაშვილი ცნობილ ქართველ ფეხბურთელებთან მეგობრობს. მათ შორის თქვენც ხართ?

— სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, მეუღლითურთ ორჯერ მესტუმრა ამსტერდამში, ცოლი ხომ ჰოლანდიელი ჰყავს. მასთან სტუმრობისას ჩემთანაც შემოივლიდა ხოლმე. ახლა ის ჩემი მეგობარი კი არა, ჩემი ქვეყნის პრეზიდენტია და დიდ პატივს ვცემ. ის აკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ საქართველო ისეთი გახდეს, როგორიც ჩვენ გვსურს. თქვენი თვალით თუ ნახავთ, რა გაკეთდა საქართველოში ამ სამ წელიწადში, ყველაფერს უკეთესად გაიგებთ.

— ამბობენ, რომ „ალკმაარი" ამჟამად ევროპაში ყველაზე რომანტიკულ ფეხბურთს თამაშობს...

— სიამოვნებით ვეთანხმები ამ აზრს.

— რომელ ევროპულ გრანდს წააგავს?

— ვოცნებობ, რომ „ბარსელონას" ჰგავდეს. თუმც ვან გაალი არ ცდილობს, „ალკმაარისგან" მეორე „ბარსა" შექმნას, რადგან აქ არ არიან ფიგუ, რივალდო და რონალდინიო. ვან გაალს ჰყავს მხოლოდ არველაძე და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი.

— წელიწადნახევარში ალბათ მიხვდით, რატომაა ვან გაალი დიდი მწვრთნელი...

— დიახ, მივხვდი რადგან, ის მატჩს „კითხულობს". მივხვდი, იმიტომ, რომ ის უხსნის თითოეულ ფეხბურთელს, რა არის მისი [illegible] და როგორ გამოიყენოს ის. ვან გაალისთვის მთავარი გუნდური თამაშია, ის შემტევი ფეხბურთის ფანატია.

— უეფას თასზე „ნიუკასლს" ხვდებით...

— ძლიერი მეტოქეა, მასზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. მხოლოდ ის ვიცი, რომ კარგი სტადიონი და უერთგულესი ქომაგები ჰყავს.

— პრემიერლიგაში თამაშზე არ გიფიქრიათ?

— მიფიქრია და ვარიანტებიც მქონდა. თავის დროზე „ბლეკბერნი" და „ფულემი" მეპატიჟებოდნენ, მაგრამ ვერ გავბედე ისეთ გუნდში გადასვლა, რომელიც, შეიძლება, ერთი სეზონი კარგად ითამაშოს, მერე კი გავარდეს.

— ესე იგი, სჯობს იყო არცთუ ძლიერ ჩემპიონატში, მაგრამ მუდამ პირველობისთვის იბრძოდე...

— აზრი ხომ უნდა ჰქონდეს თამაშს! მოედანზე გასვლა, ველის მოხდა, ხელფასის აღება და სახლში წასვლა — ეს საჩემო საქმე არ არის. მე ჯილდოების მოგება მინდა.

— მართალია, რომ „კრილია" ერთადერთი რუსული კლუბია, რომელიც თქვენით დაინტერესდა?

— დიახ, მაშინ „რეინჯერსში" ვიყავი და უარი ვთქვი, რადგან „კრილია" საჩემო გუნდი არაა.

— დიდ რუსულ კლუბებს რომ შემოეთავაზებინათ გადასვლა?

— არ ვიცი, „კრილიას" გარდა არავინ ყოფილა. ალბათ, მაშინ რუსეთში ფეხბურთელებს იმ გუნდებიდან არ ყიდულობდნენ, რომელშიც მე ვთამაშობდი. მაგალითად, წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ რომელიმე რუსულ კლუბს მე „აიაქსიდან" წავეყვანე.

— საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი კი რუსეთს კარგად შეეწყო. რატომ თამაშობს ნაკრებში შემტევ ნახევარმცველად, „ლოკომოტივში" კი მცველად?

— იური სიომინს მოჰკითხეთ, ჩვენი საუკეთესო შემტევი ლიდერი რატომ აქცია.

— უკმაყოფილო ხართ?

— მთელი საქართველო უკმაყოფილოა. ჩვენ „ჩალოოტნიკები" გვჭირდება და არა „ლოოტნიკები" ისე, ვისურვებდი, რომ ჩვენს ქვეყნებს ურთიერთობა ისეთივე კარგი ჰქონდეთ, როგორიც სპორტსმენებს აქვთ. დარწმუნებული ვარ, დრო მოვა, ერთად დავსხდებით და ქართულ ღვინოსა და რუსულ არაყს დავლევთ.

# ვახტანგ ფანცხავა ევროპას თბილისიდან ხედავს

**პორტუგალიაში დასრულებულ ოთხთა საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა მეორე ადგილი რომ დაიკავა, უკვე გამცნეთ. ჰაინც ტოპმიოლერის ბიჭებმა ჯერ ირლანდიასთან წააგეს, მერე კი მასპინძელ პორტუგალიას და ბელგიას მოუგეს, თუმც ქართველების პირველობა სხვა მატჩზე იყო დამოკიდებული — პორტუგალიამ 0:1 წააგო ირლანდიასთან, რომელსაც შვიდი ქულა მოუგროვდა და იპირველა კიდეც. ჩვენებს სანუგეშოდ ბელგიასთან დუბლის შემსრულებელი ვახტანგ ფანცხავას საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი დარჩათ. ფანცხავა პირველლიგელ „გაგრაში" თამაშობს, ჯერ 17 წლისაა, თუმც უკვე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. პორტუგალიური ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელს გუშინ გავესაუბრეთ...**



— საკმაოდ კარგად ორგანიზებული და პრესტიჟული ტურნირი იყო. რა თქმა უნდა, გული დაგვწყდა, რომ ტურნირი ვერ მოვიგეთ, მაგრამ მართლაც კარგად ვითამაშეთ და მეორეობაზე გული მაინცდამაინც ´არ დაგვწყვეტია — გვეუბნება ფანცხავა.

**— პირველი მატჩი ირლანდიასთან რომ არ წაგეგოთ, პირველები იქნებოდით. იყო იმ მატჩის მოგების რეალური შანსი?**

— ნაღდად არ უნდა წაგვეგო, უბრალოდ, პირველი მატჩი იყო, ბოლომდე კონცენტრირება ვერ მოვახერხეთ, თანაც ჩვენთვის უიღბლოდ წარიმართა. მარტო პირველ ტაიმში სამი რეალური შანსი გვქონდა, აქედან ერთი საგოლე მომენტი მე გავაცუდე, ირლანდიელებმა კი სულ სამჯერ დაგვირტყეს და სამჯერვე გაგვიტანეს, მეკარეს შანსი არ ჰქონია. მერე და მერე ჩვენი თამაში ვიპოვეთ, პორტუგალიას და ბელგიას ულაპარაკოდ მოვუგეთ, მაგრამ, როგორც იცით, ირლანდიამ შანსი აღარ გაუშვა ხელიდან და გამარჯვებულიც გახდა.

**— ჰაინც ტოპმიოლერი რით დარჩა კმაყოფილი და პირიქით?**

— სიმართლეს გეუბნებით: მისი ყველა დავალება შევასრულეთ, ტურნირის შემდეგ გვითხრა, თქვენით ბოლომდე კმაყოფილი ვარო.

**— რა სტილის ფეხბურთს გათამაშებთ ჰაინც ტოპმიოლერი?**

— შემტევი ფეხბურთი უყვარს, სწრაფ პასს და მუდმივ მოძრაობას გვთხოვს. ბურთი არ უნდა ჩერდებოდეს, განლაგებით კი 4-5-1-ით ვთამაშობთ. გამოკვეთილი ცენტრფორვარდი მე ვარ.

**— როგორი ყაიდის თავდამსხმელებს მიაკუთვნებ შენს თავს?**

— ჩემი ადგილი სწორედ ცენტრფორვარდის პოზიციაზეა — ორივე ფეხით კარგად ვურტყამ. სიმაღლით 180 სანტიმეტრი ვარ და თავით თამაშიც ჩემი კოზირია. სწრაფი ვარ, ოღონდ ცოტა პლასტიკა მაკლია.

**— ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელად დასახელების ალბათ უცხოელი სპეციალისტების ყურადღებასაც მიიქცევდი?**

— პირადად ჩემთან არავინ მისულა, მაგრამ ვიცი, რომ პორტუგალიელები ჰაინც ტოპმიოლერს ელაპარაკნენ, ოღონდ რომელი კლუბის წარმომადგენლები იყვნენ, არ ვიცი. ასეა თუ ისე, ჯერჯერობით საქმე არ წასულა. ჩემ გარდა ლევან ცქიტიშვილი და ალექსი ბენაშვილით დაინტერესდნენ. ისე, შეიძლება, ზაფხულში უცხოეთში სათამაშოდ წავიდე. ჩემი მენეჯერი ბესო ჩიხრაძეა და, როგორც ვიცი, უკრაინულ ვარიანტზე მუშაობს.

**— ოქტომბერში საგაისო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი გიწევთ...**

— მართალია, სერიოზული მეტოქეები გვყავს ჰოლანდიის, ნორვეგიისა და ლატვიის სახით, მაგრამ ჯგუფური ტურნირი თბილისში ჩატარდება და ჩვენი თამაშის გათვალისწინებით, პირდაპირ პირველი ადგილით ვაპირებთ ევროპის ჩემპიონატზე გასვლას.

**ბაჩო სვანიძე**



# ბორჯომული ეეეჰ...

**ისევ** მსაჯობის თემა... „ზესტაფონი" — „ბორჯომის" საპასუხო სათასო მატჩისას არბიტრ ლაშა სილაგავას მსაჯობას ამჯერად ბორჯომელები აპროტესტებენ, კლუბის პრეზიდენტი დავით გელაშვილი კი უფრო შორს მიდის და მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის შეცვლასთან ერთად მთლიანად ფეხბურთის ფედერაციის შეცვლას ითხოვს. „ფეხბურთის ფედერაცია გადასახალისებელია, ესენი ქართულ ფეხბურთს კარგს არაფერს მოუტანენ" — გვითხრა დავით გელაშვილმა, ვისაც გუშინ დავუკავშირდით და გუშინწინდელი მატჩის მსაჯობაზე კომენტარი ვთხოვეთ.

– „ზესტაფონთან" არბიტრმა ლაშა სილაგავამ ჩვენ სასარგებლოდ 100-პროცენტიანი პენალტი არ დანიშნა, რაც მატჩის შემდეგ თავადაც თქვა, თუმცა დააყოლა, ბურთი მოედანს გაცდენილი იყოო. მაშ, ჩვენიანი ფეხბურთელი რატომღა გააფრთხილა?! აი, ეს კი ვეღარ ახსნა. არადა, ნაღდი პენალტი რომ იყო, ნამატჩევს თავად „ზესტაფონის" ფეხბურთელებმაც თქვეს.

... ფიქრობთ, რომ მსაჯებმა მსაჯობა არ იციან და შეცდომებიც ამიტომ აქვთ? ვერ დაგეთანხმებით. მსაჯებმა თავიანთი საქმე ძალიანაც კარგად იციან. ისინი ხშირად არაობიექტურები და მიკერძოებულებით მსაჯობენ, ყველაფერს განზრახ აკეთებენ და განგებ ცდებიან. სასწრაფოდ რამე უნდა შეიცვალოს, თორემ არაფერი გვეშველება. ასეთი მსაჯობისა და ამ ფედერაციის ხელში სასიკეთოს არაფერს უნდა ველოდოთ. ფედერაცია მთლიანად შესაცვლელია.

– „ზესტაფონთან" მსაჯობის თაობაზე არც პროტესტის დაწერას აქვს აზრი. ტყუილად ფული უნდა გადავიხადოთ, გადაწყვეტილებას კი, ცხადია, ისეთს მიიღებენ, როგორიც ხელს მისცემთ. ამიტომაც მირჩევნია, ჩემი პოზიცია პრესაში დავაფიქსირო. „ზესტაფონში" აღმაშფოთებელი მსაჯობა იყო, ეს ფედერაციაშიც კარგად იციან. ასეთი არაობიექტური მსაჯობა კი არც პირველია და არც ბოლო იქნება. რას გვერჩიან, ვერ გამიგია.

...თუ გახსოვთ, „დინამოსთან" ბორჯომში მატჩისას არბიტრ სილაგავას მოედანზე როცა შეურაცხყოფა მიაყენეს, ამის შემდეგ ნორმალურად გაეგრძელა მსაჯობა. ახლაც, „ზესტაფონთან" ეს მატჩში ბორჯომში რომ ყოფილიყო, იგივეს გაუკეთებდნენ. რაც სილაგავამ ზესტაფონში გააკეთა, იმის მოთმენა შეუძლებელი იყო. არც ჩემი ფეხბურთელების დაშოშმინება მიცდია, პირიქით, სილაგავა მათგან მეტ შეურაცხყოფას იმსახურებდა...

წესით და რიგით, „ბორჯომის" პრეზიდენტის ამგვარი განცხადებები ფეხბურთის ფედერაციამ უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს. ვნახოთ, გაგრძელება ალბათ იქნება...

**კობა ინასარიძე**

# ოჰ, ეს მარტი ასათიანისთვის



**საქართველოს** ნაკრების უნივერსალი მალხაზ ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივს" ჰოლანდიურ შეკრებაზე დაშორდა და გერმანიაში ჩავიდა, სადაც 20 მარტამდე დარჩება.

ტრავმისშემდგომი რეაბილიტაციის შემდეგ ჩვენებური „ლოკომოტივის" ჰოლანდიურ შეკრებაზე ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობდა, ახლა კი კვლავ მკურნალობას განაგრძობს.

„ასათიანის აღდგენითი პროცესი გეგმაზომიერად მიმდინარეობს. ქართველი ფეხბურთელი გერმანიაში ბოლო სარეაბილიტაციო კურსს გაივლის. თუ ყველაფერი ნორმალურად წარიმართა, ვარჯიშს გუნდთან ერთად მარტის ბოლოს დაიწყებს" — განაცხადა „ლოკომოტივის" ექიმმა საველი მიშალოვმა.

ასათიანმა ტრავმა გასული წლის სექტემბრის ბოლოს ცსკა-ს ხორვატ ლეგიონერ ივიცა ოლიჩთან შეჯახებისას მიიღო და ხუთ თვეზე მეტია, მკურნალობს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ექსპრეს-ვარიანტები

**უახლოეს** უქმეებზე ჩემპიონატი რუსეთშიც დაიწყება. თუმც, სანამ იქაური პრემიერლიგა გახურდება, ჩრდილოელებმა უკვე სათასო მატჩები გამართეს.

გუშინ ყაზანის „რუბინმა" მერვედფინალის საპასუხო შეხვედრაში დიდთოვლობის გამო ვლადიკავკაზში „როსტოვს" უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა. ყაზანელებს პირველი მატჩიც წაგებული ჰქონდათ. „რუბინის" ამბები საქართველოს ნაკრების ორი ფეხბურთელის — მეკარე ნუკრი რევიშვილის და მცველ ლაშა სალუქვაძის გამო გვაინტერესებს, მით უმეტეს, რომ მათ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა უჭირთ. ასე მოხდა გუშინდელ მატჩშიც — სალუქვაძე ისევ სათადარიგო იყო, რევიშვილი კი განაცხადშიც ვერ მოხვდა.

ამასობაში გაზეთმა „სპორტ ექსპრესმა" სეზონის წინ ყველა გუნდის სავარაუდო შემადგენლობა გამოაქვეყნა. სამწუხაროდ, ყაზანელთა ძირითადისთვის ქართველები ვერც მათ „გაიმეტეს". მათი ექსპერტის ცნობით, ძირითადში აუცილებლად ითამაშებენ „კრილია სოვეტოვის" ნახევარმცველი დავით მუჯირი, „სატურნის" ახალწვეული გოგიტა გოგუა და „შინიკიდან" ნალჩიკის „სპარტაკში" გადასული ალეკო ამისულაშვილი. რუსი ჟურნალისტები ასევე ვარაუდობენ, რომ ტრავმის შემდეგ „ლოკომოტივის" დაცვის ცენტრში კონკურენტი არ ეყოლება მალხაზ ასათიანს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# გუსი გუსი?

## ნორვეგიული პოლიცია ჩელსის წინააღმდეგ







**„ჩელსის“** საქმე ასეა: ნორვეგიის პოლიციამ ჯონ ობი მიკელის ამ გუნდში გადასვლა ეჭვქვეშ დააყენა.

შეგახსენებთ, რომ მიკელი „ჩელსიში“ ოსლოს „ლინიდან“ შარშან გადავიდა, მაგრამ აი, ოსლოელებმა, კონტრაქტი, მგონი, ფალსიფიცირებული იყო.

ნიგერიელი მიკელი 19 წლისაა. „ჩელსიში“ გადასვლამდე ცნობილი იყო, რომ ის „მანჩესტერ იუნაიტედში“ მიდიოდა, მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ — ყმაწვილკაცი რამდენიმე კვირით გაქრა და შემდეგ გაირკვა, რომ ლონდონში გადასულა.

უფრო ზუსტად ასე იყო: ჯონ ობი მიკელის მანჩესტერში გადასვლის ამბავი 2006 წლის იანვარში გახმაურდა. შემდეგ მოთამაშემ თქვა, რომ მანჩესტერში გადასვლას მას აიძულებდნენ. საბოლოოდ, როგორც ჩანს, ყველა მხარე შეთანხმდა. ზოგი ვერსიით, ნიგერიელის დატოვებაში „ჩელსიმ“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ 14 მილიონი, ხოლო „ლინს“ 4 მილიონი გირვანქა გადაუხადა.

ამბობენ, რომ ახლა, პოლიციასთან „ბრძოლაში“ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ლონდონელ კონკურენტს ყოველმხრივ დაუდგება მხარში, მით უფრო, რომ მართალი დოკუმენტაციის წარდგენა სწორედ მათ შეძლებიათ.

ოსლოს პოლიციის წარმომადგენელი პაალ ჰერნაესი: „საქმე დოკუმენტების გაყალბებასთან გვაქვს, ეს კი სერიოზული დანაშაულია. ამ საქმეში მიკელი მხოლოდ და მხოლოდ მოწმის სტატუსით გადის“.

ჰერნაესმა დაადასტურა, რომ წინა კვირაში ნორვეგიელ პოლიციელთა ჯგუფი ლონდონში ჩავიდა და ფეხბურთელი დაკითხა.

ამბობდნენ, რომ „ლინის“ ყოფილი დირექტორი მორგან ანდერსენიც დაკითხეს, მაგრამ თავად ანდერსენმა ეს ამბავი იუარა. სამაგიეროდ, მიკელის აგენტმა ჯონ შიტუმ არ ითაკილა იმის აღიარება, რომ პოლიციელებმა კითხვები დაუსვეს.

ნორვეგიელი სამართალდამცველები ამბობენ, რომ გამოძიებას, სავარაუდოდ, აპრილში დაასრულებენ.

ამასობაში კი არა და არ წყდება ხმები იმის შესახებ, რომ კლუბის მეპატრონე რომან აბრამოვიჩი მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს შეცვლას უპირებს. წარმოიდგინეთ, რამდენად სერიოზულად არის საქმე, რომ მწვრთნელის შეცვლის შესახებ წერილები „ჩელსის“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლის მეორე დღესაც კი დაიწერა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ბოლო ვერსიით, რუსი ოლიგარქი აბრამოვიჩი მაურინიუს შემცვლელად, არც მეტი, არც ნაკლები, გუს ჰიდინკის მიყვანას აპირებს. ჰიდინკზე კი ასეთი ტონით იმიტომ ვამბობთ, რომ ის რუსეთის ნაკრების თავკაცია და წელიწადში 2,69 მილიონ დოლარს იღებს. სხვა სიტყვებით, რამდენი უნდა შესთავაზოს აბრამოვიჩმა ჰოლანდიელ მწვრთნელს, ლონდონში გადასახლებით რომ მოხიბლოს?

ამასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გენადი ნევეგლასმა: „რუსეთის საფეხბურთო კავშირთან ურთიერთობის საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით დარწმუნებით შემიძლია გითხრათ: ფული საკუთარი ჯიბიდან რომ ქონდეთ გადასახდელი, ისინი ასე ძვირადღირებულ მწვრთნელს არავითარ შემთხვევაში არ გაუფორმებდნენ კონტრაქტს. ერთი სიტყვით, ჰიდინკის კონტრაქტს რუსეთის საფეხბურთო კავშირი კი არა, რომან აბრამოვიჩი იხდის“.

შეგახსენებთ, რომ სულ ახლახან გუს ჰიდინკს გადასახადების დამალვის გამო კინაღამ ჰოლანდიურ ციხეში უკრეს თავი.

**პაპუნა ძედია**

# მიდო მიდის, ჟიგიჩი დგას

## ახალი მამალი ესპანეთში ყოფილა



ნიკოლა ჟიგიჩი

**როგორც** ინგლისელი ჟურნალისტებისთვის გახდა ცნობილი, „ტოტენჰემ ჰოთსპური“ სერბ ნიკოლა ჟიგიჩს აკვირდება და ამ ზაფხულზე მისით ეგვიპტელი მიდოს შეცვლას აპირებს.

სანტანდერის „რასინგის“ ტანმაღალი ფორვარდის ბოლო ორი თამაში თვით ტოტენჰემელთა თავკაც მარტინ იოლს უნახავს და 8 მილიონი გირვანქაც გადაუდია. 26 წლის ჟიგიჩმა ესპანური გუნდის შემადგენლობაში 7 გოლი გაიტანა და ზოგადადაც, მიდოსთან შედარებით მისი მოედანზე ყოფნა მეტოქეთათვის გაცილებით საშიში ჩანს.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ეგვიპტელი თავდამსხმელი იანვარში ლონდონიდან წასვლის პირას იყო — სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს იგი კინაღამ „მანჩესტერ სიტიმ“ იყიდა.

24 წლის მიდო „უაით ჰართ ლეინზე“ „რომადან“ ოფიციალურად აგვისტოში გადაბარგდა. მანამდე ის 18 თვის განმავლობაში, უბრალოდ, გაქირავებული იყო, მაგრამ ვაგლახ, მიმდინარე სეზონში აფრიკელი მხოლოდ ხუთ შეხვედრაში ათამაშეს. ამწუთას მიდო გუნდში მეოთხე ფორვარდია — „ტოტენჰემის“ მწვრთნელები მასზე წინ დიმიტარ ბერბატოვს, ჯერმენ დეფოს და რობი კინს აყენებენ.

სტატისტიკა მეტყველებს, რომ მიდომ ბოლო 20 შეხვედრაში ხუთ გოლზე მეტი ვერ გაიტანა.

„თავდამსხმელობა საგანგებო რამ არის — განუმარტა ჟურნალისტებს მის გარშემო მიმდინარე ამბებით გაღიზიანებულმა მიდომ — როდესაც თავდამსხმელს გოლი გააქვს, მწვრთნელმა კიდევ უნდა ათამაშოს, რათა ის ეშხში შევიდეს და კიდევ შეაგდოს, ხოლო თუ არ გათამაშებენ, რიტმიდან ვარდები. წინა სეზონში ამ დროისთვის 11 გოლი მქონდა გატანილი. წლეულს მეტჯერ რომ ვეთამაშებინე, გაცილებით უკეთესი შედეგი მექნებოდა“.

რაც შეეხება ჟიგიჩს, ის შარშან ზაფხულამდე „ცრვენა ზვეზდას“ ფეხბურთელი იყო. „რასინგთან“ მისი კონტრაქტი სამწლიანია.

„ვიცი, ინგლისელი სკაუტები მაკვირდებიან და ეს ძალიან მახარებს, რადგან ჩემი სტილის თავდამსხმელისთვის პრემიერლიგა ნამდვილი სამოთხეა — თქვა ჟიგიჩმა — რაა გასაკვირი იმაში, რომ კარიერის უკეთ მოწყობა მინდა...“

**პაპუნა ძედია**

# რომან, ვიყიდოთ ალვეში!

**„ჩელსის“** აღმასრულებელი დირექტორი პიტერ კინიონი ცდილობს, რომ აბრამოვიჩს „სევილიას“ მცველი დანიელ ალვეში აყიდვინოს. ესპანური „ასის“ ინფორმაციით, ანდალუზიური კლუბი სეზონის ბოლოს ბრაზილიელს შეელევა. მისი გადაბირება შარშან „ლივერპულს“ უნდოდა, მაგრამ „სევილიას“ პრეზიდენტმა ალვეშს უთხრა, ერთი სეზონიც დარჩი და შენი ფასი 40 მილიონ ევროს მიაღწევს, მერე სადაც გინდა, წადიო. კინიონი აბრამოვიჩს უმტკიცებს, რომ ბრაზილიელი მცველის ყიდვა ღირს, რადგან ის დაცვის მარჯვენა ფლანგზე პრობლემებს მოაგვარებს. სევილიელი ფეხბურთელი უნდა „მილანსაც“ და „ბარსელონასაც“.

# რაიანი ახალი ანრია

**„არსენალი“** ამსტერდამის „აიაქსს“ რაიან ბაბელის სანაცვლოდ 6 მილიონ გირვანქას სთავაზობს — წერს „დეილი მირორი“. ჯერ კიდევ იანვარში უნდოდათ „მეთოფეებს“ მისი გადაბირება, მაშინ „ნიუკასლიც“ იყო ჩართული ამ ამბავში და 5 მილიონს იხდიდა.

ინგლისური კლუბების გარდა ბაბელს, რომელსაც მარკო ვან ბასტენი ახალ ტიერი ანრის ეძახის, „ვალენსიამ“ და მოსკოვის „სპარტაკმაც“ დაადგეს თვალი, არსენ ვენგერს კი ჰოლანდიელი მარცხენაფლანგელი ფრედი ლიუნგბერგის შემცვლელად შეუგულებია — შვედი სეზონის ბოლოს „არსენალიდან“ წავა.

# სოსა მოსულა

**მიუნხენის** „ბაიერნმა“ საბოლოოდ მოაგვარა ხოსე ერნესტო სოსას ტრანსფერი. „ესტუდიანტესის“ არგენტინელი ნახევარმცველი მიუნხენში ჩავიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ბაიერნის“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, 21 წლის სოსა 1 ივლისიდან ბუნდესლიგური კლუბის ფეხბურთელი გახდება.

„ბედმა გამიღიმა, რომ „ბაიერნის“ ფეხბურთელი ვარ. ასეთ გუნდში თამაში ალბათ ბევრის ოცნებაა“ — თქვა სოსამ.

„ბაიერნმა“ უკვე მესამე კაცი დაიბევა მომავალი სეზონისთვის. არგენტინელამდე მათ უკვე გააფორმეს კონტრაქტები „ალემანიას“ ფორვარდ იან შლაუდრაფთან და „შალკეს“ ჰამიტ ალტინტოპთან.

# გიგზისნაირი ელიტო ნაპოვნია

**THE PEOPLE** ამტკიცებს, რომ ალექს ფერგიუსონმა ახალი რაიან გიგზი იპოვა. ეს გახლავთ „კოლჩესტერის“ ნახევარმცველი მედი ელიტო, რომელსაც ძირითად გუნდში ჯერ არ უთამაშია, მაგრამ ინგლისის 17-წლამდელთა ნაკრებში საუცხოოდ გამოიყურებოდა. ამ კვირაში იგი „ოლდ ტრაფორდზე“ მივა და საქმეში კიდევ ერთხელ ნახავენ — მედი ელიტო გუშინ „მანჩესტერ“ — „ლილის“ მატჩს დაესწრო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლარსონი სამშობლოსკენ

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ შვედი ფორვარდი ჰენრიკ ლარსონი აპრილში სამშობლოში დაბრუნდება — მას იჯარის ვადა უმთავრდება.

რაც შეეხება გუნდის ფრანგ თავდამსხმელ ლუის საას, სერ ალექსმა ზუსტად არ იცის, რა სირთულის ტრავმა აწუხებს ამ ფეხბურთელს.

„ყველაფერი კლუბის ექიმებმა უნდა გამოარკვიონ. საა ფეხზე აქამდეც უნდა დამდგარიყო, თუმცა ჯერ სიტუაცია მაინც ბუნდოვანია. შესაბამისი გამოკვლევის ჩატარების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება“ — თქვა „იუნაიტედის“ მხცოვანმა თავკაცმა.

**ლადო ხომერიკი**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ჩემპიონთა ლიგა 2006–2007
### მერვედფინალი. საპასუხო მატჩი

# წყეულ არს!
## ბარსა ლივერპულს და სტატისტიკას ველარ გადაახტა


ლივერპულელთა კაპიტანმა და ლიდერმა სტივენ ჯერარდმა „ბარსელონას“ პრობლემები არ დააკლო

*ლივერპული (ინგლისი)* 0:1 ბარსელონა (ესპანეთი) (2:1)
0:1 გუდიონსენი (75)
ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, არბელოა, ჯერარდი, სისოკო, ხაბი ალონსო, რიისე (ფ. აურელიო 77), ბელამი (პენანტი 68), კუიტი (კრაუჩი 90)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ბარსელონა: ვალდესი, ოლეგერი, ტურამი (გუდიონსენი 71), პუიოლი, ხავი, მარკესი, ინიესტა, დეკუ, მესი, რონალდინიო, ეტოო (ჟიული 61)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: არბელოა, სისოკო, ტურამი, პენანტი, რეინა
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
42 579 მაყურებელი

**საჩემპიონთალიგო** წყევლა ძალაშია — მას შემდეგ, რაც ევროპული საკლუბო ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟული ტურნირი დაარსდა (1992-93 წლების სეზონი) ლიგა ზედიზედ არავის მოუგია...

გავარდა „ბარსელონაც“. ლიგის მიჯრით ორჯერ მოგება ბოლო წლებში ევროპული ფეხბურთის ფლაგმანად მიჩნეულმა კატალონიურმა გრანდმაც ვერ მოახერხა. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონთა ლიგის ბოლო სამმა გამარჯვებულმა — „პორტუმ“, „ლივერპულმა“ და „ბარსელონამ“ — მომდევნო სეზონში გათამაშება მერვედფინალიდან დატოვა. ანუ, რაც დრო გადის, ლიგა თავის ჩემპიონებს მით უფრო ულმობლად ექცევა.

საინტერესოა, 2007-08-ის კამპანიაში „ბარსას“ მემკვიდრე გუნდი რაღას იზამს...

და „ლივერპული“? „ენფილდ როუდის“ მატჩი ვინძლო მთელმა მსოფლიომ ნახა და ენა არავის მოუტრიალდება იმის სათქმელად, მოგება და მომდევნო ეტაპზე გასვლა კატალონიელებს უფრო ეკუთვნოდათ და ინგლისელები მეოთხედფინალში შემთხვევით მოხვდნენ. პირიქით, მატჩის მერე „ბარსას“ დამრიგებელმა ფრანკ რაიკარდმა ჟურნალისტებს გულახდილად განუცხადა: „დღეს შემთხვევით მოვიგეთ. მინდა, „ლივერპულს“ ორი მატჩის ჯამში დამსახურებული გამარჯვება და მეოთხედფინალში გასვლა მივულოცო.“

ფენომენალურად ითამაშა „ლივერპულის“ კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა. ალბათ სადღეისოდ „წითლების“ ლიდერი მსოფლიოს საუკეთესო ნახევარმცველია. „ენფილდზე“ „ბარსელონაში“ ჯერარდის მსგავს როლს დეკუ ასრულებდა, მაგრამ პორტუგალიელმა ჯადოსნურ სტივს ვერ აჯობა.

სიმბოლურია, რომ მატჩის შემდეგ დეკუმ და ჯერარდმა ერთმანეთს მაისურები გაუცვალეს.

— „ბარსელონამ“ შეტევაში კარგად ითამაშა. მეტოქედ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავდა, მაგრამ გული დაგვწყდა, შესვენებისას ტაბლოზე ისევ 0:0 რომ ენთო. „ლივერპული“ ისეთი მებრძოლი სულისკვეთებით გავიდა მოედანზე, რომ პირველ ტაიმში, სულ მცირე, ერთი გოლი მაინც უნდა გაგვეტანა“ — თქვა სტივენ ჯერარდმა.

„წითლების“ კაპიტანმა ბრწყინვალედ იცის, გუნდური სულისკვეთება და ერთობლივი მონდომება რასაც ნიშნავს. ორი წლის წინ ლიგის ფინალში ხომ ლივერპულელებმა „მილანს“ 3:0 ჯოჯოხეთად შემოუტრიალეს და თასიც სწორედ სტივმა აღმართა...

რონალდინიომ მხოლოდ ერთხელ გაისროლა სახიფათოდ. ეს მეორე ტაიმის დასაწყისში მოხდა, როცა ბრაზილიელი მცველებს დაუსხლტა და ძელს დააჭედა ბურთი.

„ლიგას გამოვეთიშეთ, მაგრამ ახლა თავის ჩაქინდვრის და სასოწარკვეთის დრო არ არის — პრიმერადივიზიონში მადრიდის „რეალთან“ უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის და ამისთვის უნდა მოვემზადოთ. „ლივერპულთან“ „ბარსამ“ მოიგო, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს სხვაობა საკმარისი არ გამოდგა... მერვედფინალი პრაქტიკულად „კამპ ნოუზე“, პირველ თამაშში დავთმეთ“ — თქვა კატალონიელთა ვარსკვლავმა.

ის ერთი გოლი, რომელიც „ბარსელონას“ არ ეყო, ისლანდიელი ეიდურ გუდიონსენის ანგარიშზეა.

„მეკითხებით, ის გოლი ჩემს კარიერაში გამორჩეულად დარჩება თუ არა? ალბათ არა, რადგანაც მისი გატანით „ბარსას“ მაინც ვერანაირი ხეირი ვერ მოვუტანე. საერთო ჯამში კი, მცირედით მაინც კმაყოფილი ვარ, რადგანაც „ლივერპულის“ კარში გოლის შეგდება „ენფილდ როუდზე“ შევძელი, სტადიონზე, სადაც ხალხს საშინლად ვძულვარ“ — განაცხადა „გუდიმ“.

მართლაც, „ჩელსის“ ყოფილი კაცი „ენფილდზე“ მეორე ტაიმში გამოჩნდა და რამდენჯერაც ბურთი მიიღო, „წითლების“ ფანებმა იყაურობა სტვენა-ღრიალით აიკლეს. თუმცა, მათი გულის გასახეთქად, რეინას კარი სწორედ „გუდიმ“ დალაშქრა.

პეპე რეინა დასაქმებული არ ყოფილა — სულ ორი მომენტი შექმნეს მის კართან კატალონიელებმა — ერთხელ გოლი შეაგდეს და მეორედ ძელს გაარტყეს ბურთი. „ლივერპულის“ მეკარემაც საკუთარ თავზე ლაპარაკს თავი აარიდა და გუნდის ჭკვიანურ სტრატეგიაზე ისაუბრა: „ზოგს გაუკვირდა, თავიდანვე შეტევაზე რომ გადავედით. ეს ძალიან ჭკვიანური სვლა იყო. იერიშებზე უარი რომ გვეთქვა და სივრცე „ბარსასთვის“ დაგვეთმო, დიდი ანგარიშით წაგებას ვერ ავცდებოდით.“

საერთო ჯამში მოიგეს „წითლებმა“ და „ბარსას“ საქომაგოდ და გასამხნევებლად ნისლიან ალბიონზე ჩასულმა 1700 კატალონიელმა თვალცრემლიანმა დატოვა „ენფილდი“...

**ლადო ხომერიკი**

## რაფაელ ბენიტესი



— „ლივერპული“ მოედანზე ისე გავიდა, თითქოს გოლების გატანა თქვენ უფრო გჭირდებოდათ, ვიდრე „ბარსელონას“?

— ჩვენი მიზანი იყო, მეტოქე სწრაფი გოლით გაგვეკვირვებინა. „ბარსელონა“ უმაღლესი დონის გუნდია და ვიცოდით, რომ პრესინგი და დაცვაში ბევრი მუშაობა მოგვიწევდა. ეს თავიდან გაძლების საკითხი იყო, თუ დასაწყისში მეტოქეზე უკეთ ვითამაშებდით, მეორე ტაიმშიც სიტუაცია ჩვენ სასარგებლოდ შეიცვლებოდა, რაც მოხდა კიდეც.

— არ შეგეშინდათ, როცა „ბარსელონამ“ გოლი შეაგდო?

— სიტუაცია მართლაც გართულდა, მაგრამ სუსტები არ ვართ და კატალონიელთა ზეწოლას მაგრად დავუხვდით. მეორე ტაიმში ბურთს ჩვენ ვაკონტროლებდით და „ბარსას“ გოლამდე კონტრიერიშებზეც გადავდიოდით. გუდიონსენის გოლის მერე კი შევშფოთდი, თუმცა, წესით, იქამდე ჩვენ უნდა გაგვეტანა.

— როგორ გრძნობთ თავს მას შემდეგ, რაც ლიგიდან წინა სეზონის ჩემპიონი „ბარსელონა“ დაითხოვეთ?

— მშვიდად ვარ და დამსახურებული გამარჯვებით ვხარობ. მინდა, „ლივერპულის“ ქომაგებს ეს მოგება მივულოცო. ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩვენ მსოფლიოში საუკეთესო ფანები გვყავს. ასევე ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი ფეხბურთელების თავდადებით. ახლა წილისყრის შედეგებს უნდა დაველოდოთ.

— თავი დამცირებულად ხომ არ იგრძენით, როცა მერვედფინალური მატჩების წინ „ლივერპულ“ — „ბარსელონას“ წყვილში ფავორიტებად კატალონიელებს ასახელებდნენ?

— ამაში გასაკვირი და მოულოდნელი არაფერი იყო, ამიტომაც თავი დამცირებულად არ მიგრძნია. მთავარია, ბრძოლა „ლივერპულმა“ მოიგო და მეოთხედფინალშიც არა „ბარსა“, არამედ ჩვენ ვითამაშებთ.

## ფრანკ რაიკარდი



— ყველაზე მეტად როდის იფიქრეთ, რომ „ბარსელონა“ მიზნის შესრულებას და მეოთხედფინალში გასვლას შეძლებდა?

— როცა ანგარიში 1:0 გახდა. მატჩის დასაწყისში მეოთხედფინალში გასვლაზე ნაკლებად ვფიქრობდი, რადგანაც „კამპ ნოუს“ შედეგი ჩვენთვის ცუდი იყო. „ლივერპულს“ გამარჯვებას ვულოცავ. დამაჯერებლად, ძლიერად და თავგანწირვით ითამაშა. ეს ემოციური და მიმზიდველი მატჩი გახლდათ. ასეთია უმაღლესი დონის ფეხბურთი...

— თავიდან ისე ჩანდა, თითქოს გოლების გატანა „ბარსელონაზე“ მეტად „ლივერპულს“ სჭირდებოდა...

— დიახ, უნდა ვაღიაროთ, რომ მათ შესანიშნავი მატჩი ჩაატარეს. „ლივერპულის“ ყველა სათამაშო ხაზი თანაბრად ორგანიზებული იყო. მართალია, „ბარსა“ ბურთს უფრო მეტად ფლობდა, მაგრამ მიზნის მისაღწევად წინ წასვლა და ნახევარდაცვა-თავდასხმას შორის იდეალური ურთიერთგაგება იყო საჭირო. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა...

— „ბარსას“ მონდომება დააკლდა?

— არა, გუნდს მოგება უნდოდა, იბრძოლა იმისთვის, რაც ჩაფიქრებული გვქონდა, მაგრამ ყველაფერი ისე ადვილი არ აღმოჩნდა, როგორც ამას ზოგიერთები ფიქრობდნენ. ყოველ შემთხვევაში, ჩემს ფეხბურთელებს თავი არ შეურცხვენიათ.

— ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნას ფიასკოდ თვლით?

— არა. ბედმაც შეგვიწყო ხელი, მაგრამ „ენფილდ როდზე“ „ლივერპულთან“ დამაჯერებლად მოგება ადვილი საქმე რომ არ არის, ყველას მოგეხსენებათ. ახლა ესპანეთის ჩემპიონატში მადრიდის „რეალს“ ღირსეულად უნდა დავხვდეთ — ჯერ კიდევ ბევრი მატჩი დაგვრჩა ჩასატარებელი.

# ჩემპიონთა ლიგა 2006–2007

## მერვედფინალი. საპასუხო მატჩი

*ვალენსია (ესპანეთი)* 0:0 ინტერი (იტალია) (2:2)

ვალენსია: კანისარესი, მიგელი, აიალა, ალბიოლი, მორეტი, ანგულო (ხოაკინი 77), მარჩენა, ბარახა (ვიანა 38), დ. სილვა, ვილია, მორიენტესი (ვისენტე 67)

მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი

ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი, მაქსველი (გროსო 75), ხ. ძანეტი, ბურდისო, დაკური (ფიგუ 64), სტანკოვიჩი, კრესპო (კრუზი 58), იბრაჰიმოვიჩი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: იბრაჰიმოვიჩი, კანისარესი, ანგულო, მატერაცი, კორდობა, მაიკონი

მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

53 000 მაყურებელი



AFP

# არაკაცის მუშტი და... ბოდიში!

„ვალენსია“ — „ინტერის“ მატჩში ამტყდარი საზიზღარი მუშტიკრივი მილანელებს შეიძლება ძვირად დაუჯდეთ. ხმები დაირხა, შესაძლოა, უეფამ „ნეროაძური“ უმკაცრესად დასაჯოსო...

მთელმა მატჩმა დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა და ფეხბურთელებს შორის მცირე გაწევ-გამოწევა ხშირი იყო. თუმცა მთავარი ამბავი საფინალო სასტვენის შემდეგ მოხდა — ინტერელი ნიკოლას ბურდისო ვალენსიელ კარლოს მარჩენას წაეკინკლავა, რაც გუნდურ ჯაჯგურში გადაიზარდა. ხოლო როცა ყველაფერი სიტუაციის განმუხტვისკენ მიდიოდა, სათადარიგოთა სკამიდან გამოვარდნილი „ლამურების“ მცველი დავიდ ნავარო ფეხბურთელების ჯგუფს მიუახლოვდა და ბურდისოს ისე ძლიერად ჩაარტყა სახეში, რომ ცხვირი გაუტეხა.

ბუნებრივია, ამან ინტერელების აღშფოთება გამოიწვია, განსაკუთრებით, ხულიო რიკარდო კრუზი, ივან კორდობა და ოლივიე დაკური გაწიწმატდნენ. კრუზმა ვარდნაში სცადა გაქცეული ნავაროს შეჩერება, მაგრამ ამაოდ. მან კორდობას მოქნეული წიხლიც აიცილა. აი, დაკურმა კი შეძლო და, ფეხი ჩაარტყა ვალენსიელს, მაგრამ მაინც ვერ წააქცია.

ნავარომ სირბილი გააგრძელა და კამერებმა დააფიქსირეს, როგორ ბოროტად ილიმოდა იგი გასახდელში შესვლამდე.

აყალმაყალი გასახდელისკენ მიმავალ გვირაბშიც გაგრძელდა...

„ინტერის“ სათადარიგო მეკარე ფრანჩესკო ტოლდო „ვალენსიას“ გასახდელისკენ ნავაროს საცემად დაიძრა, ცოტა ხანში მას ლუიშ ფიგუ და ესტებან კამბიასოც მიჰყვნენ. სხვა ფეხბურთელები პოლიციამ ძლივს დააკავა და საბოლოოდ სამართალდამცავებმა დაძაბულობის განეიტრალება, ასე თუ ისე, შეძლეს.

კარლოს მარჩენას აზრით, ჩხუბი და არეულობა „ინტერის“ არგენტინელმა ნიკოლას ბურდისომ დაიწყო...

„ბურდისო უკნიდან მომეპარა და ხელი ჩამარტყა. სწორედ აქედან დაიწყო არეულობა, რასაც, სამწუხაროდ, ჩვენი ზოგიერთი ფეხბურთელიც აჰყვა“ — განაცხადა „მარკასთან“ საუბარში მარჩენამ.

ვითარების განმუხტვის შემდეგ „ინტერმა“ დაადასტურა, რომ „ვალენსიას“ იტალიელი დირექტორი ამადეო კარბონი „ნეროაძურის“ წარმომადგენლებთან მივიდა და ნავაროს საძაგელი ქცევისთვის მოიბოდიშა.

საბედნიეროდ, ფანებს შორის ჩხუბი არ ამტყდარა, მაგრამ „ვალენსიას“ რამდენიმე ქომაგმა „მესტალიასთან“ მდგარ „ინტერის“ ავტობუსს პეტარდები და სხვადასხვა საგნები დაუშინა.

„თავიდან ვერ გავიგე, რა ხდებოდა, რადგან პირდაპირ გასახდელისკენ წავედი. მერე კი ძალიან არ მესიამოვნა ის, რაც დავინახე და ვითარების განმუხტვა ვცადე. რა თქმა უნდა, სამწუხარო ინციდენტია — განაცხადა „ინტერის“ თავკაცმა რობერტო მანჩინიმ — რაც შეეხება ნავაროს, იგი მხდალი არაკაცია. ყველა, ვინც კაცს უკნიდან მიეპარება, დაარტყამს და მერე გაიქცევა, სწორედ ასე უნდა შეფასდეს“.

ერთ ეპიზოდში „ინტერი“ პენალტს ითხოვდა — ერნან კრესპოს დარტყმული რაულ ალბიოლმა თითქოს ხელით შეაჩერა...

„ამას ახლა მნიშვნელობა აღარ აქვს. ისე ჩანდა, რომ ბურთი ნამდვილად შეეხო ალბიოლს ხელზე, მაგრამ დაზუსტებით ვერ ვიტყვი. მთლიანობაში მსაჯობით კმაყოფილი ვარ. ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემპიონთა ლიგას გამოვეთიშეთ, მაგრამ ეს ფეხბურთია. ბიჭებმა უნდა იამაყონ საკუთარი თამაშით, ისინი კარგად გაისარჯნენ“ — დასძინა მანჩინიმ.

„ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი: „ბურდისოს ცხვირი აქვს გატეხილი და თავს შეუძლოდ გრძნობს. ძალიან ვწუხვარ მომხდარის გამო. უეფას დელეგატები გასახდელშიც შემოვიდნენ ვითარების გასარკვევად, მაგრამ არა მგონია, რაიმე ზომები მიიღონ. ჩივილს არც ჩვენ ვაპირებთ“.

„კიდევ ერთი შანსი გავუშვით იმისა, რომ ფანებისთვის მაგალითი მიგვეცა. ამდენი ლაპარაკია ფეხბურთიდან ხულიგნების მოკვეთაზე და ამ დროს მინდორზე მოთამაშეებს შორის ასეთი რამ ხდება, ეს ძალიან ცუდია. ნავარო ნორმალური ბიჭია და ვერ ვხვდები, რა დაემართა. მე მისი თანაგუნდელი ვარ, მაგრამ ასეთი საქციელის მერე ნამდვილად ვერ დავიცავ“ — თქვა „ლამურების“ იტალიელმა მცველმა ემილიანო მორეტიმ.

ამაზრზენ ჩხუბზე „ვალენსიას“ ფორვარდმა დავიდ ვილიამაც ისაუბრა: „ინტერს“ ორი მატჩის ჯამში ღირსეულად ვაჯობეთ და მეოთხედფინალში გავედით. თუმცა რაც თამაშის შემდეგ მოხდა, სამარცხვინოა და ყველანაირ ზნეობრივ კრიტერიუმებს ეწინააღმდეგება... ჩხუბის დროს რამდენჯერმე მეც მწარედ მომხვდა“.

**გიორგი ქაქაბაძე**

გუშინ დავიდ ნავარომ ნიკოლას ბურდისოს ბოდიში მოუხადა.

„იმ მომენტში თითქოს თვალებზე რაღაც გადამეფარა, არ ვიცი, რა დამემართა. დავინახე, რომ ჩემს თანაგუნდელს შეურაცხყოფას აყენებდნენ და ნერვები ვეღარ მოვთოკე... ცხოვრებაში ასე არ მოვქცეულვარ და არც არასდროს მოვიქცევი. ვნანობ და ძალიან მრცხვენია“ — განაცხადა „ვალენსიას“ მცველმა „კადენა სერთან“ ინტერვიუში.

ნავაროს თქმით, იგი უახლოეს ხანში კლუბის სპორტულ დირექტორ ამადეო კარბონის შეხვდება, რათა მან უშუალოდ ბურდისოსთან დააკავშიროს. ვალენსიელს უნდა, ცხვირგატეხილს პირადად სთხოვოს პატიება.

„იმ ეპიზოდში, როცა ჩვენს გასახდელში „ინტერის“ ფეხბურთელები შემოცვენილან, სხვა ოთახში ვიყავი. მოგვიანებით მითხრეს, იქ რა სამარცხვინო ამბებიც დატრიალებულა. ყველას, ვისაც კი ზიანი მივაყენე და უხერხულობაში ჩავაგდე, ბოდიშს ვუხდი“ — ამბობს ნავარო.

უეფა კი ფირს გულდასმით შეისწავლის, თვითმხილველებსაც მოუსმენს და ალბათ შფოთისთავებს სამაგალითოდ დასჯის.

# ზლატან იბრაჰიმოვიჩი:

# დავიდ ნავაროს სამუდამო დისკვალიფიკაცია ეკუთვნის, ვალენსიას კი ლიგიდან მოკვეთა!



AFP

საფეხბურთო სამყარო ახლა „მესტალიაზე“ მომხდარ ჩხუბზეა გადართული და მისი დეტალების გარკვევას ცდილობს. ამ საკითხზე „ინტერის“ ბოსნიური წარმოშობის შვედმა ფორვარდმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმაც ისაუბრა...

**— როგორ დაიწყო ყველაფერი?**

— თავიდან ნიკოლას ბურდისოს და კარლოს მარჩენას შელაპარაკება მოუვიდათ. ინციდენტში სხვა ფეხბურთელებიც ჩავერთეთ და როცა თითქოს ყველაფერი განიმუხტა, ვითარება სწორედ მაშინ დაიძაბა.

**— რამ გამოიწვია ეს?**

— ყველაფრის ხელახლა წამოწყებაში დავიდ ნავაროა დამნაშავე. იგი სათადარიგოთა სკამიდან წამოხტა, ბურდისოს მივარდა და ისე ძლიერად ჩაარტყა ხელი, რომ ცხვირი გაუტეხა. ბუნებრივია, ამან ჩვენი განრისხება გამოიწვია და მერე ჩხუბი გასახდელისკენ მიმავალ გვირაბშიც გაგრძელდა.

**— თქვენგან ვინ მიიღო მონაწილეობა გასახდელში გაგრძელებულ აურზაურში?**

— პირველები გასახდელისკენ ლუიშ ფიგუ, ივან კორდობა და ფრანჩესკო ტოლდო გაიქცნენ. მერე კი მათ ნახევარი გუნდი მიჰყვა.

**— როდის შეწყდა ყველაფერი?**

— ვითარება ჩვენმა მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ განმუხტა. მან გასახდელიდან ყველა გამოიყვანა.

**— გამოდის, ყველაფერში დამნაშავე ნავაროა?**

— დიახ, იგი არამზადა, არაკაცი და მხდალი ადამიანია — უკნიდან მიირბინა ბურდისოსთან, სახეში ძლიერად ჩაარტყა და გაიქცა. არც კი ვიცი, ვინმე სხვას ოდესმე თუ უკადრებია ასეთი რამ.

**— როგორ ფიქრობთ, რას მოიმოქმედებს უეფა?**

— არ ვიცი, გააჩნია, რა დაწერეს ოქმში დელეგატებმა. მჯერა, ჩვენი კლუბი ამ ინციდენტს ასე უბრალოდ არ გაატარებს. ყველამ, უეფასა და ფიფას თამადობით, უნდა ნახოს მომხდარის ვიდეოჩანაწერი. ნავაროს სამუდამო დისკვალიფიკაცია ეკუთვნის.

**— იცით, რომ შეიძლება ჩემპიონთა ლიგიდან ორივე გუნდი მოკვეთონ?**

— ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში გავარდნილები ვართ. ვფიქრობ, სამართლიანი იქნება, თუ ლიგას „ვალენსიასაც“ ჩამოაშორებენ.

## ჩემპიონთა ლიგა 2006–2007
### მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გლადიატორისგან დატორილი ლომი
## რომა უკვე მარჩიელობს



ლიონი (საფრანგეთი) 0:2 *რომა (იტალია)* (0:0)
0:1 ტოტი (22), 0:2 მანსინი (44)
ლიონი: კუპე, რეველიერი (ბენზემა 69), კრისი, სკილაჩი, აბიდალი, ა. დიარა (კალსტრიომი 46), ტიაგუ, ჟუნინიო, მალუდა, გოვუ (ვილტორდი 46), ფრედი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
რომა: დონი, კასეტი, მექსეში, კიუ, ტონეტო, დე როსი, დ. პიზარო, ტადეი, პეროტა, მანსინი (ფატი 90), ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: ტიაგუ, კრისი, კალსტრიომი, პეროტა, პიზარო, ფრედი
მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
39 260 მაყურებელი

„ლიონს“ საკუთარ „ჟერლანზე“ 2002 წლიდან ევროტურნირებზე ზედიზედ 18 მატჩი არ წაეგო. ეს ტრადიცია იტალიურმა „რომამ“ დაარღვია, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში 1984 წლის მერე პირველად გავიდა. მაშინ „გლადიატორები“ ფინალამდეც მივიდნენ, რომელიც მათსავე „სტადიო ოლიმპიკოზე“ გაიმართა, მაგრამ ისინი „ლივერპულთან“ პენალტების სერიაში დამარცხდნენ.

„გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა, მთელი მატჩი მშვიდად ჩავატარეთ, ორი ბრწყინვალე გოლიც გავიტანეთ და დამსახურებულად მოვიგეთ. ლიონელებმა რამდენჯერმე სცადეს ჩემი ბიჭების პროვოცირება, მაგრამ კარგია, რომ არ ავყევით. თუმცა რამდენიმე ჯარიმის თავიდან აცილება შეგვეძლო. ვფიქრობ, ამ გამარჯვებით კრიტიკოსებიც გავაჩუმეთ“ — თქვა „გლადიატორთა“ მთავარმა მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ.

რომაელებმა ანგარიში 22-ე წუთზე გახსნეს, როცა მაქს ტონეტომ მარცხენა ფლანგზე გაილაღა, კარგადაც ჩააწოდა და „გლადიატორთა“ კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ ზუსტი თავურით იხეირა.

„ასეთი მატჩები არასოდეს დაგავიწყდება. „ჟერლანზე“ რაღაც განსაკუთრებულის გასაკეთებლად ჩავედით და ეს შევძელით. დავამტკიცეთ, რომ კარგი გუნდი გვყავს და ფინალში გასვლაც შეგვიძლია. ჩემპიონთა ლიგაში წარმატება ყოველთვის მაკლდა და მიხარია, რომ კარიერაში პირველად ვარ მეოთხედფინალში. უშუალოდ „ლიონთან“ შეხვედრაში უფრო მთელი გუნდის თამაშით ვარ კმაყოფილი, ვიდრე საკუთარი თავით. მომდევნო ეტაპზე „მილანთან“ შეხვედრას ვისურვებდი. თუმცა, რა თქმა უნდა, „როსონერი“ ჯერ „სელტიკს“ უნდა გასცდეს“ — აღნიშნა ტოტიმ.

„რომას“ ლიდერმა მონაწილეობა მეორე გოლშიც მიიღო. მან ამანტინო მანსინის გაუკეთა პასი, რეაქტიული ბრაზილიელიც „ლიონის“ საჯარიმოში შეიჭრა და ბურთს იმდენჯერ გადაატარა ფეხი, რომ სკილაჩის თავბრუ დაახვია, მერე კი უძლიერესი დარტყმით ახლო მაღალ კუთხეში ჩაჭედა ბურთი.

„გოლი მართლაც ლამაზი და მნიშვნელოვანი გამოვიდა. ამ ყველაფრის შესრულებას ტექნიკა და ძალა სჭირდება. „უდინეზესთან“ მატჩში რვაჯერ გადავატარე ბურთს ფეხი და ვალერიო ბერტოტოს გავცდი, მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ ვერ გავიტანე. ვიცოდით, ძალიან მძიმე მატჩი გველოდა, რადგან „ლიონი“ ბრწყინვალე გუნდია. მაგრამ „რომა“ თითქმის უნაკლო გახლდათ ამ შეხვედრაში. იმედია, ეს შთამბეჭდავი გამარჯვება თავდაჯერებას შეგვმატებს და ჩემპიონთა ლიგაზე შორს წასვლას შევძლებთ“ — განაცხადა მანსინიმ.

ულებ-ის თასის პარალელურად მიმდინარეობს ფიბა-ევროპის მიერ ორგანიზებული ევროთასი, სადაც ვიქტორ სანიკიძის „ესტუდიანტესი“ თამაშობს. ესპანური კლუბიც მეოთხედფინალშია და პლეი ოფის პირველი მატჩი შინ მოსკოვის ოლქის „დინამოს“ 80:70 მოუგო. ნახევარფინალში გასაღწევად „ესტუდიანტესს“ ერთი გამარჯვებაც სჭირდება. საპასუხო მატჩი მოსკოვში 9 მარტს გაიმართება და თუკი მასპინძლები იმარჯვებენ, მესამე, გადამწყვეტ ბრძოლას მადრიდი 14 მარტს უმასპინძლებს.

რაც შეეხება სანიკიძეს, ის სათადარიგო იყო და მოედანზე არ გასულა.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ**

## NBA ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

# ᲚᲘᲒᲐ ᲓᲐᲚᲐᲡᲘᲡ ᲑᲝᲠᲑᲚᲔᲑᲥᲕᲔᲨ

6 მარტი

**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ 129:109 ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ**
ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ: არენასი (25), ჯემისონი (25), დანიელსი (18)
ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ: ბოში (25), ფორდი (14)

**ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ 117:107 ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ**
ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ: დევისი (23 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი, 4 ჩაჭრა), გარნეტი (26 ქულა, 17 მოხსნა), ბლუნტი (18)
ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ: ბრაიანტი (40 ქულა, 13 მოხსნა, 8 პასი, 3 დაფარება, 2 ჩაჭრა), პარკერი (24), კუკი (14)

**ᲓᲐᲚᲐᲡᲘ 102:89 ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ**
ᲓᲐᲚᲐᲡᲘ: ტერი (24), ნოვიცკი (22 ქულა, 11 მოხსნა)
ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ: კარტერი (32 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა), მური (20), კადი (11 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი)

**ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓᲘ 94:99 ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ**
ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓᲘ: როი (19), რენდოლფი (14 ქულა, 12 მოხსნა), ოლდრიჯი (14)
ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ: დანკანი (24), ჯინობილი (23), ფინლი (20)

**ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ 99:100 ᲡᲘᲔᲢᲚᲘ**
ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ: მარბერი (40), კარი (15)
ᲡᲘᲔᲢᲚᲘ: ალენი (29 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი), ლუისი (24 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი), უოტსონი (23)

**ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ 102:98 ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ**
ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ: მარტინი (27), ბიბი (22)
ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ: დანლივი (24), ონილი (22 ქულა, 12 მოხსნა), მერფი (19)

**ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ 106:91 ᲜᲘᲣ ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲘ**
ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ: აივერსონი (25), მანტონი (21), ილარიო (15 ქულა, 14 მოხსნა)
ᲜᲘᲣ ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲘ: ჩანდლერი (15 ქულა, 18 მოხსნა, 4 დაფარება)



ნიუიორკელი სტივ ფრენსისი სიეტლელთა ხელების ტყეში მიიკაფავს გზას

რა თქმა უნდა, ეს არ მოხდება, მაგრამ „დალასმა ყველა დარჩენილი თამაში რომც წააგოს, პლეი ოფში მაინც მოხვდება. ტეხასელები მუხრუჭაწყვეტილი მატარებელივით მიჰქრიან და არავინა ჩანს მათი გამჩერებელი. „მავერიქსმა“ რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებამდე 22 თამაშით ადრე გაინაღდეს დასავლეთის რჩეულ რვეულს შორის ადგილი.

სამშაბათს მათ დამაჯერებლად დაამარცხეს „ნიუ ჯერსი“ და ზედიზედ მე-16 გამარჯვება ჩაიწერეს, რაც შიდასაკლუბო რეკორდი ხომ გახლავთ და თანაც ერთით ჩამოუვარდება ამ სეზონში „ფინიქსის“ მიღწევას — ზედიზედ 17 გამარჯვებას. დირკ ნოვიცკი და მისი რაზმი ისეთ სვლაზე არიან, რომ არც კიდევ ორი მეტოქის ჩაკალათება და „ფინიქსისთვის“ რეკორდის ჩამორთმევა გაუჭირდებათ, ეგაა, თავად დიდად არ დაგიდევენ ამ ციფრებს და ტრადიციული კითხვებით მიმდგარ ჟურნალისტებს გაცვეთილი ფრაზებით იგერიებენ — ჩვენ ყოველ თამაშში მოედანზე მოსაგებად გავდივართ და რეკორდისა რა მოგახსენოთო. მათმა მწვრთნელმა აივერი ჯონსონმა დიდად არ დაარღვია ერთფეროვნება, როცა თქვა — ჩვენი გულშემატკივრები უფრო ელიან ამ რეკორდს, ვიდრე თავად ჩვენო.

ხოლო კონკრეტულად ამ თამაშზე ხალხს ყველაზე დიდი სალაპარაკო დალასელთა გამთამაშებელმა ჯეისონ ტერიმ გაუჩინა, რომელსაც აუტში წასულ ბურთს დიდი თავპირისმტვრევით გამოენთო და პირველ რიგში მჯდომ მავან დარბაისელ ქალბატონს დაეცა. თამაშის მერე ის იმ ქალთან მივიდა და ლოყაზე აკოცა. მერე თავს იმართლებდა — მთელი თამაში თვალს ვაპარებდი და ისეთი დაღვრემილი იჯდა, რომ კოცნა და გამხიარულება მომინდაო.

მოკლედ, მიქრის „დალასი“, სხვები კი უკან მიჰყვებიან და ცდილობენ, მთლად არ დაკარგონ მხედველობის არიდან. კიდევ ერთმა ტეხასურმა სუპერგუნდმა „სან ანტონიომ“ პორტლენდში იქაური „ბლეიზერსი“ ბრძოლაში დასცა და მიჯრით მოგებათა ასხმულას მეათე რგოლი ჩამოაცვა. „პორტლენდს“ ძალიან დიდი ხანია, „სან ანტონიოსთვის“ არ მოუგო და ახლა დიდად მოინდომა ნავსის გატეხვა. მასპინძლები მთელი თამაშის განმავლობაში მდევრებად ამყოფებდნენ ცოტა არ იყოს შეცბუნებულ სტუმრებს, მაგრამ ძალა და გამოცდილება არ ეყოთ სამგზის ჩემპიონთა დასანოკაუტებლად. „სან ანტონიო“ მატჩის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე 8 ქულით აგებდა, როცა ბენო უდრიჰმა და მანუ ჯინობილიმ თითო სამქულიანი დასჭექეს. უდრიჰმა მოგვიანებით მეორეც ჩააგდო, ჯინობილიმ კი ბოლო ორ წუთში 8 ქულა გააჩერხა და საწყალი „პორტლენდი“ კვლავ მშიერი დარჩა.

„სან ანტონიოს“ კიდევ აქვს შანსი, „დალასისთანა“ გიგანტს პლეი ოფში გაექაჩოს, მაგრამ ბოლო ათწლეულის კიდევ ერთ გრანდს წლეულს იძულებით უარის თქმა უხდება დიდთა ლავაში ჩარევაზე — ტრავმებმა შეიკლა „ლოს ანჯელეს ლეიკერსი, ფილ ჯექსონი უპრობლემოდ გაიყვანს პლეი ოფში თავის გუნდს, მაგრამ იქ სერიოზულ ბრძოლას ლოსანჯელესელები ალბათ ვერც წლეულს მოახერხებენ. „ლეიკერსს“ სამი საუკეთესო მოთამაშიდან ორი — ლუკ უოლტონი და ლამარ ოდომი აკლია, მარტო კობი ბრაიანტი კი ყველას, აბა, როგორ გასწვდება. „მინესოტასთან“ კობიმ 40 ქულა ჩააგდო, მაგრამ ბოლო მეოთხედში მისმა გუნდმა 7-ქულიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და მეტოქეს მატჩის ოვერტაიმში ხსნის შანსი უბოძა. მინესოტელებმაც ეს შანსი პირველ ვერა და მეორე დამატებით დროში კი გამოიყენეს.

ჩავარდნა დაეწყო ახალი წლის შემდეგ მოყოჩაღებულ აღმოსავლელ „ტორონტოს“. დივიზიონის ლიდერთა ჯახში კანადურმა გუნდმა მალევე გამოფინა თეთრი ალამი. „ტორონტოს“ ოლსტარელმა ლიდერმა კრის ბოშმა „ვაშინგტონს“ 25 ქულა კი ჩაუგდო, მაგრამ მხოლოდ ერთი ბურთი მოხსნა. მისმა გუნდმა კი ამ კომპონენტში 29:48 დათმო.

**ᲙᲝᲢᲔ ᲧᲝᲠᲨᲘᲐ**

| ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ | | | | ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ***დეტროიტი*** | 37 | 21 | 63,8 | ***ᲓᲐᲚᲐᲡᲘ*** | 51 | 9 | 85,0 |
| კლივლენდი | 35 | 25 | 58,3 | ***ფინიქსი*** | 46 | 14 | 76,7 |
| ***ვაშინგტონი*** | 34 | 25 | 57,6 | სან ანტონიო | 43 | 18 | 70,5 |
| ***ტორონტო*** | 32 | 29 | 52,5 | ***იუტა*** | 41 | 19 | 68,3 |
| ჩიკაგო | 35 | 27 | 56,5 | ჰიუსტონი | 36 | 24 | 60,0 |
| მაიამი | 30 | 29 | 50,8 | ლეიკერსი | 33 | 28 | 54,1 |
| ინდიანა | 29 | 30 | 49,2 | დენვერი | 29 | 29 | 50,0 |
| ორლანდო | 29 | 33 | 46,8 | კლიპერსი | 29 | 31 | 48,3 |
| ნიუ ჯერსი | 28 | 33 | 45,9 | საკრამენტო | 28 | 32 | 46,7 |
| ნიუ იორკი | 28 | 34 | 45,2 | ნიუ ორლეანი | 28 | 33 | 45,9 |
| ფილადელფია | 22 | 38 | 36,7 | მინესოტა | 27 | 33 | 45,0 |
| მილუოკი | 22 | 39 | 36,1 | გოლდენ სტეიტი | 27 | 35 | 43,5 |
| შარლოტი | 22 | 39 | 36,1 | სიეტლი | 25 | 35 | 41,7 |
| ატლანტა | 22 | 39 | 36,1 | პორტლენდი | 25 | 36 | 41,0 |
| ბოსტონი | 17 | 42 | 28,8 | მემფისი | 15 | 46 | 24,6 |

დახრილი შრიფტით აღნიშნული არიან დივიზიონების ლიდერები, მთავრულით — პლეი ოფში გასულები

# საფრანგეთისკენ



ვაჟიკო კიკილაძის ფოტო

# კეთილი დევის ბოლო სეზონი

## ვიქტორ დიდებულიძე: მეორე მსოფლიოსაც ვნახავ და წავალ

საქართველოს ნაკრების და ფრანგული „მასის“ მორკინალს ვიქტორ დიდებულიძეს 2003 წლის მსოფლიოს თასზე უთამაშია და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, წლეულს შემოდგომაზე საფრანგეთში გასამართ მსოფლიოს თასსაც არ დააკლდება. 35 წლის „კეთილ დევად“ წოდებული დიდებულიძე 17 მარტს ერთა თასის მატჩში ესპანეთთანაც ითამაშებს და ერთი კვირის თავზე თბილისში რუსეთთანაც ირაგბებს. ვიქტორ დიდებულიძეს საფრანგეთში დავუკავშირდით და სარუბრიკო ამბებთან ერთად სხვაც ვკითხეთ

— ესპანეთთან მატჩისთვის ჩვენი ნაკრების მწვრთნელებმა ერთობ ექსპერიმენტულ შემადგენლობას უხმეს. შენი აზრით, ლამის მესამე გუნდით მადრიდში თამაში სარისკო ხომ არაა?

— არა მგონია, ეს რისკი იყოს. სახელებით თუ ჩამოვყვებით, მართლაც დუბლშემადგენლობა გამოდის, მაგრამ ერთი-ორი კაცის გარდა საესპანეთო შემადგენლობაში ყველა ისეთი მორაგბეა, ადრე ნაკრების უცვლელ წევრად რომ ითვლებოდა ან სანაკრებო გამოცდილება აქვს. თანაც უკვე გავედით მსოფლიოს თასზე და ეს ერთა თასი პრაქტიკულად არაფერს წყვეტს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ახლა თუ არ ნახე საქმეში ნაკრების კანდიდატები და ახალბედები ნელ-ნელა არ შეაჩვიე გუნდს, მსოფლიოს თასის წინა შეკრებაზე ექსპერიმენტების და დაკვირვების დრო არ იქნება. ამიტომ მწვრთნელების გადაწყვეტილებას ვამართლებ, მით უფრო, ესპანეთი არ არის იმ დონის მეტოქე, თუნდაც დუბლებით ვერ მოვუგოთ. ძალიან კარგი თაობა მოდის და მსოფლიოს თასამდე გამარჯვებულის მენტალიტეტი უნდა ჩამოუყალიბდეთ და გუნდში გაშინაურდნენ.

— თქვი, რომ კარგი თაობა მოდის. როგორც გამოცდილი ვეტერანი, მაინც ვის გამოარჩევდი?

— თუნდაც დავით ზერაქაშვილს, მამუკა გორგოძეს, ბიძინა სამხარაძეს, მერაბ კვირიკაშვილს. კვირიკაშვილმა რუმინეთთან შესანიშნავად ითამაშა. ამ ბიჭებს ახლა ცოტა პეწი აკლიათ. გამოცდილებასაც შეიძენენ და მსოფლიოს თასზე ჩამოყალიბებულ მოთამაშეებად წავლენ.

— წინა მსოფლიოს თასზე და ახლაც იგივე მიზანი გაქვთ — ერთი მატჩი უნდა მოიგოთ. მაშინ ურუგვაის დამარცხება ვერ მოახერხეთ, ახლა მეტოქედ ნამიბია გყავთ...

— ურუგვაის იმიტომ ვერ მოვუგეთ, რომ მაშინ გუნდში შიდაარეულობა იყო. ამაზე ბევრი ითქვა და აღარ მსურს საუბარი. თანაც ვერც მწვრთნელმა კლოდ სორელმა გამოიჩინა პრინციპულობა და ველარ გავიგეთ, ვის რა გვევალებოდა, ან ვინ როდის თამაშობდა. ერთი სიტყვით, შიგნით, გუნდში იყო უარყოფითი ატმოსფერო, რომელმაც ყველაფერზე იქონია გავლენა. ახლა ვითარება სულ სხვაა. შეცდომებზე ჩვენც ვისწავლეთ და მწვრთნელებმაც. რაც მთავარია, გუნდი შეკრულია და სათამაშო კლასიც ამაღლდა.

— შენი აზრით, ურუგვაი უფრო ძლიერი ნაკრებია, თუ ნამიბია?

— სიმართლე გითხრათ, ნამიბიის თამაში არ მინახავს, მაგრამ როგორც ვიცი, ურუგვაი გაცილებით ძლიერი გუნდია. ნამიბია სამხრეთ აფრიკის მეზობელი ქვეყანაა და თუ ვინმე მაღალი დონის მოთამაშე გამოჩნდება, ეგრევე ცდილობს, სამხრეთ აფრიკის მოქალაქეობა მიიღოს და იქაურ ნაკრებში ითამაშოს. პირიქითაც ხდება, სამხრეთ აფრიკაში დაწუნებულები ნამიბიის ნაკრებში მიდიან, მაგრამ მათი დონე აშკარად დაბალია. თანაც, როგორც გუნდი, ურუგვაი გაცილებით შეკრული და ორგანიზებულია. აქედან გამომდინარე, ნამიბიას აუცილებლად უნდა მოვუგოთ.

— და ეს იქნება შენი ბოლო სანაკრებო სეზონი?

— ასე გამოდის... უკვე 35 წლის ვარ და სანაკრებო კარიერას დავასრულებ. თუ კიდევ დავჭირდები, შეიძლება, ერთი-ორჯერ დავეხმარო გუნდს, მაგრამ აქტიურ სანაკრებო კარიერას ველარ გავაგრძელებ. კლუბში კი ალბათ ორი წელი კიდევ ვითამაშებ, მერე კი აქ დასაქმებას და მწვრთნელობას მთავაზობენ. უკვე მეორე გუნდის მწვრთნელიც ვარ და როცა რაგბის თამაშს თავს დავანებებ, პირველ გუნდშიც დამასაქმებენ.

**ბაჩო სვანიძე**



## რეგულარული ჩემპიონატი

6 მარტი

**ბოსტონი 0:2 კოლორადო**
*0:0 0:0 0:2*
0:1 კლარკი (53), 0:2 შეიდუკი (60)

**ატლანტა 4:2 ფლორიდა**
*0:0 1:0 3:2*
1:0 ტკაჩუკი (23), 1:1 უაისი (42), 2:1 შოსა (44), 2:2 კოლნიკი (48), 3:2 კოვალჩუკი (54), 4:2 ტკაჩუკი (59)

**ოტავა 4:5 პიტსბურგი**
*3:1 1:0 0:3 0:0 (0:1 ბულიტები)*
0:1 არმსტრონგი (6), 1:1 ფიშერი (10), 2:1 შუბერტი (12), 3:1 კელი (19), 4:1 შიტლი (25), 4:2 სტაალი (50), 4:3 რობერტსი (52), 4:4 მელოუნი (53)

**ტორონტო 3:0 ვაშინგტონი**
*0:0 2:0 1:0*
1:0 ტაკერი (24), 2:0 პერო (35), 3:0 პონიკაროვსკი (43)

**დეტროიტი 4:3 ნეშვილი**
*1:1 2:1 0:1 0:0 (1:0 ბულიტები)*
1:0 დაციუკი (5), 1:1 ერატი (16), 1:2 არნოტი (26), 2:2 ლანგი (33), 3:2 შნაიდერი (33), 3:3 ზენონი (52)

**მინესოტა 0:3 სან ხოსე**
*0:0 0:3 0:0*
0:1 მიხალეკი (28), 0:2 კლოუ (31), 0:3 ჩოჩუ (34)

**სენტ ლუისი 2:4 კალგარი**
*2:0 0:1 0:3*
1:0 ჩაიანეკი (4), 2:0 დვორჟაკი (10), 2:1 ტანგე (40), 2:2 კონროი (41), 2:3 პრიმო (47), 2:4 კონროი (57)

**ჩიკაგო 3:0 ლოს ანჯელესი**
*1:0 2:0 0:0*
1:0 ბურკი (1), 2:0 შარპი (22), 3:0 შარპი (40)

**ვანკუვერი 5:1 ტამპა**
*1:0 1:1 3:0*
1:0 კოუენი (9), 1:1 ლეკავალიე (27), 2:1 ბიექსა (36), 3:1 დ. სედინი (41), 4:1 სმოლიენსკი (47), 5:1 კოუენი (60)

**ფილადელფია 5:4 ნიუ ჯერსი**
*0:1 4:2 0:1 1:0 (ოვერტაიმი)*
0:1 პარიზე (5), 1:1 სანდერსონი (21), 1:2 ელიაში (33), 2:2 კაპანენი (34), 2:3 ბრილინი (38), 3:3 რიჩარდსი (39), 4:3 აპშელი (40), 4:4 ლუკოვიჩი (55), 5:4 განიე (62)

# ბებკოკმა ფრთები მეასედ გაშალა

გუშინ დეტროიტში სუპერთამაში იყო — ერთმანეთს დასავლეთ კონფერენციის ლიდერები, ადგილობრივი „წითელი ფრთები“ და „ნეშვილი“ დაეტაკნენ. ერთი ეგაა, რომ ორივე გუნდს ბლომად ტრავმირებულები ჰყავდა. მასპინძლებს ჰენრიკ ზეტერბერგი, დომინიკ ჰაშეკი, ტოდ ბერტუცი და ტომას ჰოლმსტრიომი აკლდათ, სტუმრები კი პეტერ ფორსბერგის, სტივ სალივანისა და სკოტ ჰარტნელის გარეშე თამაშობდნენ.

ამის მიუხედავად, მაინც ძალიან დაძაბული და საინტერესო ჰოკეი გაჩაღდა, რომელშიც უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა. ხოდა, რა გასაკვირია, რომ ასეთი თანაბარი მატჩის ბედი ბულიტებში გადაწყდა, სადაც უფრო ზუსტნი მასპინძლები აღმოჩნდნენ, რომლებმაც ამ გამარჯვების შემდეგ ლიდერ „ნეშვილთან“ ჩამორჩენა ერთ ქულამდე შეამცირეს — პლუს „წითელ ფრთებს“ ერთი თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული.



მეტიუ შნაიდერმა მე-200 ნჰლ-ური გოლი გაიტანა

ჩვენ კი დეტროიტელთა ორი ინდივიდუალური მიღწევა გამოვყოთ — მასპინძელთა ვეტერან მცველ მეტიუ შნაიდერისთვის გუშინ გატანილი შაიბა კარიერაში მე-200 აღმოჩნდა და ამით ის თავის კაპიტან ნიკლას ლიდსტრომს გაუტოლდა. გარდა ამისა, „დეტროიტის“ თავკაცის რანგში ეს გამარჯვება მე-100 აღმოჩნდა მაიკ ბებკოკისთვის. მას ამ შედეგის მისაღწევად მხოლოდ 148 მატჩის გამართვა დასჭირდა, რაც ნჰლ-ში მეორე უსწრაფესი შედეგია — რეკორდი კი ტომ ჯონსონს ეკუთვნის, რომელმაც 100 მოგებიან ზღვარს 138 მატჩში „ბოსტონთან“ ერთად უწია.

ახალწვეულებმა მოაგებინეს „ატლანტას“ — ზედ დედლაინის წინ გადმოყვანილი კეიტ ტკაჩუკის დუბლითა და ალექსეი ჟიტნიკის სამი საგოლე გადაცემით შეგულიანებულმა „ტრეშერზმა“ ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო და სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონის ლიდერობაც დაიბრუნა. ეს კი იმიტომ, რომ ჯორჯიელთა მთავარი კონკურენტი „ტამპა“ გასვლაზე ვანკუვერში დამარცხდა. „კენექსში“ წლეულს გადმოსულმა რობერტო ლუონგომ კი უკვე შეუტია კლუბის რეკორდს — სეზონში 38-ე მატჩი მოიგო და გუნდის რეკორდსმენ კირკ მაკლინს გაუტოლდა. თქმა არ უნდა, ლუონგო ამ მიღწევას ძალიან მალე სათავისოდ რომ დაიტოვებს.

„პიტსბურგი“ კი ყოველდღიურად ამტკიცებს, რომ საფლეიოფო ზონაში ტყუილად არ იმყოფება და იქაც სხვების საცემი „პატარა ბიჭების“ როლს სულაც არ დათანხმდება. „პინგვინებმა“ პატარა საოცრება მოახდინეს და გასვლაზე სამშაიბიანი დეფიციტი მესამე პერიოდში აღმოუფხვრეს მოცემულ მომენტში მთელ ლიგაში საუკეთესოდ მოთამაშე „ოტავას“. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ „პიტსბურგმა“ ეს თავისი უპირობო ლიდერ სიდნი კროსბის დახმარების გარეშე შეძლო — ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა გუშინ ქულაც ვერ დააგროვა, მაგრამ ეს „კრედა“ ბულიტების სერიაში გამოისყიდა, როცა გადამწყვეტი საჯარიმო დარტყმა უზადოდ შეასრულა.

**კახა ლომაშვილი**

# ანა, სათუთი თემა

თენგიზ პაჭკორია

ანა ჩაკვეტაძემ უკვე გადალახა პერსპექტიული და იმედის მომცემი ჩოგბურთელის პერიოდი. იგი, ფაქტობრივად, უკვე საჩოგბურთო ელიტის წევრია — WTA-ს რეიტინგის ბოლო მონაცემებით, ქართული წარმოშობის მოსკოველს მე-11 პოზიცია უჭირავს, ხოლო საჩემპიონო რბოლაში სულაც მეათე ადგილზეა.

ანაზე ძალზე ბევრს ლაპარაკობენ და წერენ, თუმცა თავად ჩოგბურთელი და მისი მშობლები იშვიათად ურთიერთობენ ჟურნალისტებთან. ამას აუცილებლობად არც თვლიან, პირიქით — ფიქრობენ, რომ პრესისა და ტელევიზიის ზედმეტი ყურადღება ანას ხელს შეუშლის. თანაც, როგორც ჩოგბურთელის მამა ჯემალ ჩაკვეტაძე ამბობს, ისინი ბოლომდე ვერც ენდობიან ზოგიერთ ჟურნალისტს, უფრთხიან პრესის მიერ მათი სიტყვების დამახინჯებას.

ჩვენთვის ანას ახლანდელ წარმატებებსა და მიღწევებზე არანაკლებ საინტერესოა ის, თუ საიდან არის ჩაკვეტაძეების ოჯახი, როგორ გახდა ანა ჩოგბურთელი და ასე შემდეგ. ოც წელზე მეტია, ჟურნალისტი ვარ და იმდენი პრობლემა რესპონდენტის კოორდინატების მოსაპოვებლად, რამდენიც ეს ჩაკვეტაძეების ოჯახის შემთხვევაში შემექმნა, არასოდეს მქონია. არ ვცდილობდი, მაინცდამაინც ანას ტელეფონი გამეგო, უფრო ის მინდოდა, დავკავშირებოდი მის მამას, დედას, ბებიას, რადგან რუსული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, სწორედ ოჯახმა შეიტანა დიდი წვლილი ანას აღზრდასა და მისი მებრძოლი ხასიათის ჩამოყალიბებაში.

საბოლოო ჯამში, ჩაკვეტაძეების ოჯახის კოორდინატების მოძიებაში ჩემი გვარი დამეხმარა, ოღონდ ფრიად თავისებურად — როგორც გავარკვიე, ჩაკვეტაძეების ოჯახი წარმოშობით გაგრიდან, კერძოდ, ლესელიძიდანაა და დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს ჩემს მოგვარესთან, ასევე ლესელიძელ კონსტანტინე პაჭკორიასთან, რომელიც 80-იან წლებში ქუთაისის "ტორპედოს" ფეხბურთელი იყო, მერე რუსეთის სხვადასხვა კლუბებში თამაშობდა, ბოლო დროს კი ბრიანსკის „დინამოში" მუშაობს მწვრთნელად.

თავიდან შევძელით და მოსკოვში დავუკავშირდით ანას ბებიას, ჯემალ ჩაკვეტაძის დედას, ქალბატონ სოფიოს...



— ამბობენ, რომ სწორედ თქვენ ჩაუნერგეთ ანას მტკიცე ნებისყოფა, რაც მას ძალიან ეხმარება წარმატებების მიღწევაში. იმასაც ამბობენ, რომ თქვენ მას ასწავლიდით ქართულ ენას და ქართული კერძების მომზადებას. ასეა ეს ყველაფერი?

— ნაწილობრივ ასეა, მაგრამ ჟურნალისტები მაინც აზვიადებენ. სანამ მე და ჩემი მეუღლე ლესელიძეში ვცხოვრობდით, ჩვენ კი იქიდან 1992 წელს, შეიარაღებული კონფლიქტის დროს წამოვედით, ჩემი შვილი ჯემალი, რძალი ნატალია და ანა ხშირად ჩამოდიოდნენ მოსკოვიდან. ჩემი მეუღლე, რომელიც რამდენიმე წლის წინ მოსკოვში გარდაიცვალა, შვილიშვილს ასწავლიდა არა მხოლოდ ქართულ ენას, არამედ ქართულად წერასაც. ბოლო წლებში კი ანას ცოტა დრო აქვს — სულ ვარჯიშობს, მგზავრობს, ტურნირებზეა. თუმცა, ხანდახან ახლაც ვახერხებთ ხოლმე ერთმანეთთან საუბარს. მან მართლაც იცის ქართული კერძების მომზადება, იცის ქართული სიტყვები და აპირებს სწავლა გააგრძელოს. რაც შეეხება მის საჩოგბურთო გზას, ამაზე, სჯობს ჯემალმა მოგითხროთ, რომელიც არა მხოლოდ მამა, არამედ, ფაქტობრივად, ანას მწვრთნელიცაა...

*ჯემალ ჩაკვეტაძესთან დაკავშირება, ვინც ანას ხშირად ახლავს ხოლმე ტურნირებზე, მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შევძელით...*

— ბატონო ჯემალ, არაერთხელ დაწერილა, რომ თქვენ იყავით ანას პირველი მწვრთნელი და მენეჯერი. წერენ იმასაც, რომ ახალგაზრდობაში ჩოგბურთით კი არა, ფეხბურთით იყავით დაკავებული...

— დიახ, ფეხბურთის თამაში ლესელიძეში დავიწყე 16 წლისა სახლიდან უკვე შორს ვცხოვრობდი, ჯერ ვოლგოგრადში, სადაც ფეხბურთის ახალგაზრდულ სკოლაში ვსწავლობდი და ვთამაშობდი. აი, ვოლგოგრადის „ტრაქტორში" კი, როგორც წერენ, არასოდეს მითამაშია. საერთოდ, შემიძლია ვთქვა, რომ ვოლგოგრადმა მე ძალიან ბევრი მომცა ადამიანური და პროფესიული გაგებით.

შემდეგ იყო ჯარი. ჯერ თბილისში მოვხვდი, არმიის სპორტულ კლუბში, მაგრამ თბილისში სულ ორი კვირა ვიყავი. მერე ვთამაშობდი ნახიჭევანის „არაზში", რომელიც მაშინ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის „ბ" კლასში გამოდიოდა. ეს იყო 60-იანი წლების ბოლოს. ჩემთან ერთად „არაზში" თამაშობდნენ თბილისელი თავდამსხმელი კირაკოსიანი და ტყიბულელი მეკარე გოგლიძე. ნახიჭევანში ორი წელი ვითამაშე, ჯარის შემდეგ კი სოჭში გადავედი და მშენებლობაში დავიწყე საქმიანობა. 1980 წლიდან მოსკოვში ვცხოვრობ. ვმუშაობდი ოლიმპიურ სოფელში, 80-იანი წლების ბოლოდან კი ბიზნესში ვარ.

ფეხბურთი ყოველთვის რჩებოდა ჩემს მთავარ გატაცებად. ჩოგბურთზე ისე რა ვიცოდი — რასაც ტელევიზორში ვუყურებდი და რასაც გაზეთებში ვკითხულობდი. არასოდეს მიფიქრია, რომ ანა, რომელიც 1987 წელს დაიბადა მოსკოვში, ჩოგბურთელი გამხდარიყო. ჩოგბურთის სექციაში ანა ჩემმა მეუღლემ, ნატალიამ მიიყვანა 7 წლისა. რამდენიმე კვირაში სექციიდან გარიცხეს — უპერსპექტივო. მე გული დამწყდა, ანა კი გაბრაზდა და მითხრა: „მამა, მე ძალიან მინდა ჩოგბურთელობა და გავხდები კიდეც". მოკლედ, ჩვენ ის სხვა სექციაში წავიყვანეთ. მაშინ რუსეთში ჩოგბურთის ბუმი იყო. ანასთან ერთად სპორტსკოლაში მეცადინეობდნენ ელცინის შვილიშვილი და ცნობილი პოლიტიკოსებისა და სპორტსმენების შვილები.

მერე პერსპექტივა გამოჩნდა. ანას სერიოზული განწყობა და პირველი წარმატებები დავინახე და მოსკოვში ჩვენი საკუთარი სახლის ეზოში კორტები მოვუწყვე, რათა დამატებით ევარჯიშა. 13 წლის ანამ რუსეთის ჩემპიონატი მოიგო. ამას სხვა წარმატებები მოჰყვა.

**— საქართველოში ახსოვთ ანას ჩამოსვლა თბილისისა და ბათუმის ტურნირებზე. როგორი იყო მისი შთაბეჭდილებები?**

— ჩვენ ერთად ვიყავით ჩამოსულები. ბოლოს ეს 2003 წელს იყო. ანამ ბათუმის ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა.

**— ხომ არ შეუთავაზებიათ ანასთვის საქართველოს სახელით თამაში?**

— მაშინ, 2003 წელს ასეთი წინადადებები არ ყოფილა [illegible] შემოთავაზებები იყო ბოლო თვეებში.

**— ვისგან?**

— ახლა არ ვიტყვი, მაგრამ დამირეკეს საკმაოდ პატივცემულმა და პასუხისმგებელმა პირებმა და შემომთავაზეს მეფიქრა ანას საქართველოს სახელით თამაშის საკითხზე.

**— თქვენ რა უპასუხეთ?**

— მე ვთქვი, რომ ეს რთული და სერიოზული საკითხია, რომელიც პირველ რიგში თავად ანამ უნდა გადაწყვიტოს. საქართველოს სახელით თამაშზე მას ჩემთვის არასოდეს არაფერი უთქვამს, მაგრამ ვიცი, რომ მან უარყო შეთავაზება სხვა ქვეყნიდან, კერძოდ, თურქეთიდან.

**— მაგრამ თურქეთი და საქართველო ერთიდაიგივე არ არის — ანა ხომ წარმოშობით ქართველია...**

— დიახ, ასეა და რაც შეეხება შემოთავაზებას საქართველოს სახელით თამაშის თაობაზე, აქ რამდენიმე მომენტი უნდა გავითვალისწინოთ. რა თქმა უნდა, მე ქართველი ვარ და ვამაყობ ამით. ჩემს ქალიშვილსაც ძალიან უყვარს საქართველო, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი რუსეთში გავატარე, ანა რუსეთში დაიბადა და გაიზარდა. ყველაფერს, რასაც მივაღწიეთ, რუსეთში მივაღწიეთ და ეს გარკვეულ ვალდებულებებს გვაკისრებს — ადამიანურსაც და პროფესიულსაც. ანას მაგივრად მე ვერ გადავწყვეტ. მაგრამ ჩემი სახელით ჩემსას გეტყვით — მე, რა თქმა უნდა, მენატრება საქართველო, მაგრამ 58 წლის ასაკში არც ისე იოლია, მიიღო გადაწყვეტილება და შეიცვალო საცხოვრებელი ადგილი. ეს არ არის ადვილი არც ფსიქოლოგიურად, არც პროფესიული და ბიზნესსაქმიანობის თვალსაზრისით.

**— რა თქმა უნდა, თქვენი ნებაა, სად იცხოვრებთ, მაგრამ იმისთვის, რომ ანამ საქართველოს სახელით ითამაშოს, არ არის აუცილებელი საქართველოში ცხოვრება...**

— თუ ასეთ ვარიანტზე ვიფიქრებთ, მაშინ იქმნება ერთი სერიოზული წინააღმდეგობა — თუ ანა მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოს სახელით თამაშზე, მაშინ, საერთაშორისო წესების თანახმად, სამი წლის მანძილზე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, ვთქვათ, ფედერაციის თასზე, თამაშს ვერ შეძლებს. ასე რომ, აქ ბევრი სათუთი საკითხი და ნიუანსია გასათვალისწინებელი. მოდით, ამ საკითხზე დღეს მეტ აქცენტირებას ნუღარ გავაკეთებთ... მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და გაზეთის საშუალებით მოკითხვა გადავცე ყველა ჩემს ნაცნობ-მეგობარს საქართველოში, ყველას, ვისაც ანას წარმატებები უხარია და მასზე გული შესტკივა.

# ჩაკი, რომელიც ნამდვილად არ არის სასტიკი

## ანა ჩაკვეტაძეს უიმბლდონს ფლეშინგ მედოუზი ურჩევნია

**სეზონის პირველი, ავსტრალიური სლემტურნირის შემდეგ უქმად მყოფი ანა ჩაკვეტაძე ახლა ინდიანა უელსშია და იქაურ მასტერსზე ეცდება წარმატების მიღწევას. ეს ინტერვიუ ანასგან სწორედ კალიფორნიული სუპერტურნირის წინ აიღეს**

— აზიურ ტურნირებზე, დუბაისა და დოჰაში არ ითამაშეთ და საუკეთესო ათეულის დატოვება მოგიწიათ...

— სიმართლე გითხრათ, ახლა ნაკლებად მაღელვებს, რა პოზიციაზე ვარ რეიტინგში. დასვენება აუცილებლად მჭირდებოდა და ამიტომაც არ წავედი აზიაში. წინ ორი საკმაოდ მნიშვნელოვანი ტურნირია და მთავარი იყო, ძალები მომეკრიბა.

— ტექნიკური თამაშის სტილის გამო ხშირად მარტინა ჰინგისს გადარებენ...

— სხვანაირად არაფერი გამომივა. მე არ ვარ ნიკოლ ვაიდიშოვასავით ან ანა ივანოვიჩივით მაღალი, ძლიერად დარტყმა რომ შემეძლოს და ამით ვიგებდე ქულებს. ამიტომ მოგებისთვის სხვა გზების მონახვა მიწევს. როგორც წესი, ოპონენტის სუსტი წერტილის პოვნას და მაქსიმალურად გამოყენებას ვცდილობ. ისე მარტინა ჰინგისთან შედარება ჩემთვის დიდი კომპლიმენტია.

— ერთ-ერთ ინტერვიუში გითქვამთ, რომ უახლოეს სამ წელიწადში საუკეთესო ხუთეულში გეგმავთ მოხვედრას...

— ასეთი არაფერი მითქვამს. უბრალოდ, მიზნების თაობაზე მკითხეს და ვუპასუხე, საუკეთესო ხუთეულში მოხვედრას ვეცდები-მეთქი, ჟურნალისტებმა კი, როგორც სჩვევიათ, აქაც ყველაფერი გააბუქეს.

— ავსტრალიის ღია პირველობის ნახევრაფინალში მარია შარაპოვას ძალიან კარგად ეთამაშეთ და კინაღამ დაამარცხეთ...

— ყველა ამბობს კარგად ითამაშეო, მაგრამ რაღა კარგი თამაში გამოდის, როცა წავაგე. განსაკუთრებით გადამწყვეტ მომენტებში გამოვიყურებოდი ცუდად — ვერც ერთ სერიოზულ მომენტში გათამაშების მოგება ვერ შევძელი.

**— მაინც რა კომპონენტები გაქვთ გამოსასწორებელი?**

— საკუთარი შესაძლებლობების რწმენა კვლავაც პრობლემად რჩება, რის გამოც მატჩის გადამწყვეტ მომენტებში უბრალო შეცდომებს ვუშვებ. გარდა ამისა, მოწოდებისა და ფიზიკური მომზადების გამოსწორებაც მომიწევს.

**— რა არის თქვენი სანუკვარი ოცნება?**

— ჩოგბურთელთა უმეტესობისთვის საოცნებო უიმბლდონია, მაგრამ პირადად მე აშშ-ის ღია პირველობის მოგება უფრო მინდა. ეს პირველი სლემტურნირია, რომელზეც ვითამაშე. თან მაშინ, 2004 წელს, ნამდვილი სენსაცია მოვახდინე და მესამე ნომერი ანასტასია მისკინა დავამარცხე. და საერთოდ, მომწონს ნიუ იორკში არსებული ატმოსფერო, თან იქ ბევრი მეგობარიც მყავს.

**— კოლეგები, როგორც წესი „ჩაკის" გეძახიან. ეს კი ერთ-ერთ ამერიკული ფილმის პერსონაჟია — ულესად მახინჯი და სასტიკი თოჯინა. ამიტომ ხომ არ გწყინთ, ამ მეტსახელით რომ მოგმართავენ?**

— არანაირად. ჩემი მეტსახელი იმ თოჯინას არ უკავშირდება, უბრალოდ, გვარის შემოკლებაა და საწყენიც არაფერია.

ჩოგბურთი

# კაპიტანს ლაბაძის ცალი ხელისა სერბეთშიც ეიმედება



საქართველოს სადევისთასო ნაკრების ლიდერმა ირაკლი ლაბაძემ ავსტრიაში ოპერაცია გაიკეთა. ჩვენს საუკეთესო ჩოგბურთელს მაჯის ტრავმის გამო თითქმის ნახევარი წელი გაუცდა. წლეულს კი მხოლოდ დევისის თასის თბილისურ თამაშებზე მოახერხა კორტზე გასვლა. პორტუგალიის ნინააღმდეგ ლაბაძემ ცალი ხელით ითამაშა და მაშინვე გვითხრა, ავსტრიაში დაბრუნებისთანავე ოპერაციას გავიკეთებო. თან დასძინა, ამით უქმობა ალბათ კიდევ ორი თვით გამიგრძელდებაო. საქართველოს ნაკრებს დევისის თასის მორიგი შეხვედრა ერთ თვეში სერბეთთან უნევს და მასზე პირველი ნომრის თამაშის შანსებზე ნაკრების კაპიტან გელა ელერდაშვილს დავეკითხეთ

— ირაკლის ოპერაციამდე ვესაუბრე, შემდეგ კი მისი ამბები ოჯახის წევრებისგან შევიტყვე. ყველაფერმა კარგად ჩაიარა და ნელნელა ვარჯიშსაც შეუდგება.

— სრული დატვირთვით ვარჯიშს დიდი დრო დასჭირდება?

— ზუსტად ამის თქმა ძნელია. ფიზიკურ ვარჯიშებს ალბათ უკვე დღე-დღეზე შეუდგება. მაჯას კი ჯერ ვერ დატვირთავს.

— 6-8 აპრილს სერბეთში თამაშს შეძლებს?

— ამ ერთ თვეში ნაოპერაციევი ხელის მორჩენას ვერ მოასწრებს, მაგრამ სერბეთში აუცილებლად წამოვა და კორტზეც გავა. პორტუგალიასთან ცალი ხელით ითამაშა და სერბეთთანაც ასე დაგვეხმარება.

— მთავარი დატვირთვა ამჯერადაც ლაბაძესა და ლადო ჩიხლაძეზე გადაივლის?

— რა თქმა უნდა. ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი სწორედ ამ ორის დაყენებაა. ამას რეიტინგსიაც ადასტურებს. მართალია, ირაკლის სათამაშო პრაქტიკა აკლია, მაგრამ გამოცდილების ხარჯზე მაინც შეუძლია გუნდის ლიდერობა. ლადო კი საკმაოდ კარგ ფორმაშია. ახლახან შვეიცარიაში ტურნირიც მოიგო.

— მესამე-მეოთხე ნომრებიც ისევ გიორგი ხრიკაძე და გიორგი ჭანტურია იქნებიან?

— თუ ხელი სხვა რამემ არ შეგვიშალა, შემადგენლობის შეცვლას არ ვაპირებთ. ჭანტურიას ჩუტყვავილა აქვს და მისი სერბეთში წამოსვლის საკითხი ჯერ კითხვის ნიშნის ქვეშაა.

— სერბეთში წასვლამდე შეკრებას ხომ არ გეგმავთ?

— 4-დღიან შეკრებას სერბეთშივე გავივლით. თამაშები 6 აპრილიდან იწყება. ჩვენ კი 2-ში ვაპირებთ ჩასვლას. აკლიმატიზაციასაც გავივლით და საფარსაც შევეგუებით.

— რა საფარზე ითამაშებთ?

— ჯერ არ ვიცით. როგორც წესი, მასპინძელი სტუმარს საფარის შესახებ თამაშამდე სულ მცირე, 20 დღით ადრე აუწყებს ხოლმე. ალბათ მალე შეგვატყობინებენ.

**ოთარ გალლაგელიძე**

# ანა და მაკას მჯობნი ივონა



მანანა შაფაქიძე

**ლადო ჩიხლაძემ** შვეიცარიულ ლოგრენში მოგებული ტურნირის შემდეგ იქვე, ჯუჯა სახელმწიფო ლიხტენშტაინის მთავარქალაქ ვადუცში გადაინაცვლა, სადაც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მორიგი ტურნირი ტარდება.

პირველ წრეში ჩიხლაძის მეტოქე მე-4 ნომრად განთესილი გერმანელი, 22 წლის მერკელ ციმერმანი იქნება, ვისაც ATP-ის კლასიფიკაციაში 450-ე ადგილი უკავია. თუ ამ გერმანელს მოუგებს, მეორე წრეში ლადო 17 წლისა და რეიტინგში 716-ე ადგილზე მყოფ ბელგიელ მაქსიმ ოტომს შეხვდება, რომელმაც პირველი მეტოქე, ჩეხი მარტინ ვაჩეკი სამ სეტში — 6:2 4:6 6:1 დაჯაბნა.

ასევე ITF-ის ეგიდით, ოღონდაც ქალთა შეჯიბრი მიმდინარეობს ისრაელის ქალაქ რამათ ჰაშერონში. იქ ორი ჩვენებური თამაშობდა, ოღონდაც ნათია გეგიამ საკვალიფიკაციო ბარიერი ვერ დაძლია. აი, მანანა შაფაქიძემ კი უკვე ძირითადი ტურნირის პირველი წრე გაიარა — 21 წლის სამხრეთ აფრიკელ ლიზაან დუ პლესისს 6:4 7:5 მოუგო. მანანას მეორე მეტოქე უზბეკი ვლადა ეკშიბაროვაა. ამ 18 წლის ჩოგბურთელმა, რომელსაც WTA-ს რეიტინგში 742-ე პოზიცია უჭირავს, პირველ წრეში 6:7 6:2 6:3 დაამარცხა მე-3 ნომრად განთესილი ჰოლანდიელი ლეონიე მეკელი.

ამ კვირის მთავარი საჩოგბურთო ტურნირი ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კალიფორნიულ ინდიანა უელსში ტარდება. იქ წუხელ, ჩვენი დროით გვიან ღამით სეზონის პირველი მასტერსი დაიწყებოდა და სასიხარულოა, რომ ამ სუპერტურნირის მონაწილეთა შორისაა ნორჩი ქართველი ჩოგბურთელი ანა ტატიშვილი, ვისაც ორგანიზატორებმა სპეციალური მიწვევა გაუკეთეს.

პირველ წრეში ანა ავსტრიელ ივონა მეისბურგერს შეხვდება, ვინაც ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან გააღწია და კვალიფიკაციის პირველ წრეში 6:7 7:5 6:2 მოუგო საქართველოს პირველ ჩოგბურთელს მაკა ჩახნაშვილს. ასე რომ, ანას ერთგვარი რევანშის აღების შანსი აქვს და თუ ამას შეძლებს, მეორე წრეში 32-ე ნომრად განთესილ იტალიელ რობერტა ვინჩის შეხვდება.

ჭადრაკი

მორელია-ლინარესის სუპერტურნირი

მექსიკა-ესპანეთი. 16 თებერვალი - 11 მარტი

XI ტური

| | | |
|---|---|---|
| პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 1:0 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |

# კარლსენმა ანანდს გაუნახევრა

**ექვსი პარტიის** შემდეგ 16 წლის მაგნუს კარლსენმა მოგების გემო გაიხსენა. პატარა ვიკინგმა ვასილ ივანჩუკს სუპერტურნირზე უკვე მეორედ სძლია და ლიდერ ვიშვანათან ანანდთან ქულათა სხვაობა ნახევრამდე შეამცირა. წინა დღეს კი სპორტსმენებმა ჭადრაკისგან დაისვენეს და ძალები ფეხბურთსა და ჩოგბურთში მოსინჯეს. როგორც იტყობინებიან, კალსენმა იქაც იაქტიურა და ყველა დაჯაბნა.

ივანჩუკთან შეხვედრა ნორვეგიელმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო, მე-4 სვლაზე პაიკი გაუცვალა და ცენტრში ძალების მობილიზებას შეუდგა. კარლსენმა მეტოქეს ხელმწიფის ფლანგიდან პაიკებით შეუტია, ამასთან ორივე ეტლი გაუცვალა და სათამაშო უპირატესობას დაეუფლა. ჩრდილოელმა ეუნდერკინდმა დაწოლა გააძლიერა, ივანჩუკი მხოლოდ პაიკების ამარა დატოვა და 34-ე სვლაზე დაამარცხა.



მაგნუს კარლსენი მძინარეც იგებს

ვიშვანათან ანანდი შავი ფიგურებით აუტსაიდერ ალექსანრ მოროზევიჩს დაუზავდა, ნახევარი ქულა აიღო და ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა.

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვიშვანათან ანანდი | 7,0 |
| 2. | მაგნუს კარლსენი | 6,5 |
| 3. | ვასილ ივანჩუკი | 5,5 |
| 4. | ლევონ არონიანი | 5,5 |
| 5. | პიოტრ სვიდლერი | 5,5 |
| 6. | ვესელინ ტოპალოვი | 5,0 |
| 7. | ალექსანდრ მოროზევიჩი | 4,5 |
| 8. | პეტერ ლეკო | 4,5 |

**ლაშა გეგეჭკორი**

ფრისტაილი



ოფელიე დავიდმა მეტოქეები ჩამოიტოვა

# დუბლი ჩეხური, დუბლი ფრანგული

**ზამთრის** სეზონი ბოლო დღეებს თუ კვირებს ითვლის. თითქმის ყველა სახეობის წარმომადგენლებმა უკვე ჩაატარეს მსოფლიოს ჩემპიონატები და ახლა ფრისტაილის ოსტატთა ჯერი დადგა.

ეს ჩემპიონატი ჯერ კიდევ იანვრის ბოლოს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ უთოვლობის გამო მარტამდე გადმოსწიეს და აჰა, იტალიურ მადონა დი კამპილიოში თავისუფალი თხილამურობის ოსტატებმაც გააზურეს თავიანთი მუნდიალი.

პირველი მედლები სკი-კროსის წარმომადგენლებმა გაინაწილეს. ეს სახეობა ვანკუვერის 2010 წლის ოლიმპიადის პროგრამაშია შეტანილი და აქედან გამომდინარე, აღმატებულ ინტერესსაც იწვევს.

კაცებში პირველი ადგილი ჩეხმა ტომაშ კრაუსმა დაიკავა, რომელმაც ოქროს მედლისთვის ბრძოლაში თანამემამულე სტენლი ჰაიერს აჯობა. ბრინჯაოს მედალი კი ფრანგმა ენაკ გავაჟომ ირგუნა.

გავაჟოს ბრინჯაოს ფრანგმა ქალებმა ოქრო და ვერცხლი დაამატეს — ჩემპიონი ოფელიე დავიდი გახდა, ხოლო მეორე ადგილზე მერილ ბულანჟე გავიდა. მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი კი გერმანელმა ალექსანდრა გაუფოგლმა დაისაკუთრა.

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

## მერვედფინალი. საპასუხო მატჩები. გუ[illegible]

*მილანი (იტალია)* 1:0დ.დ.(0:0) სელტიკი (შოტლანდია) (0:0)

1:0 კაკა (93)
მილანი: დიდა, ოდო (შიმიჩი 117), ბონერა, მალდინი, იანკულოვსკი, გატუზო (ბროკი 79), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, ინძაგი (ჯილარდინო 72)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
სელტიკი: ბორუცი, ტელფერი, მაკმანუსი, ოდია, ნეილორი, ნაკამურა (მილერი 106), ლენონი, სნო (ბიტი 97), მაკგიდი, იაროშიკი (გრავესენი 62), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: მაკმანუსი, ამბროზინი, ნეილორი, მაკგიდი, ლენონი
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
68 000 მაყურებელი

არსენალი (ინგლისი) 1:1 *პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)* (0:1)

1:0 ალექსი (58ს.კ.), 1:1 ალექსი (83)
არსენალი: ლემანი, ტურე, ჟილბერტო სილვა, გალასი, კლიში (უოლკოტი 85), გლები, ფაბრეგასი, დენილსონი, ლიუნგბერგი (დიაბი 76), ადებაიორი, ბაპტისტა (ანრი 66)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
პსვ ეინდჰოვენი: გომესი, ფეპერი, ალექსი, სალსიდო, სუნი, კულინა, სიმონსი, კოკუ, მენდესი (ვაირინენი 90), ფარფანი (ადო 89), ა. კონე (აფელაი 41)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: ფეპერი, ფაბრეგასი
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
60 073 მაყურებელი

*ბაიერნი (გერმანია)* 2:1 რეალი (ესპანეთი) (2:3)

1:0 მაკაი (1), 2:0 ლუსიო (66), 2:1 ვან ნისტელროი (83პ)
ბაიერნი: კანი, სანიოლი (გიორლიცი 85), ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, სალიჰამიჯიჩი, ვან ბომელი, ჰარგრივსი, შვაინშტაიგერი, მაკაი (კ. პიზარო 69), პოდოლსკი (დემიკელისი 88)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
რეალი: კასილიასი, მ. ტორესი, ს. რამოსი, ელგერა, რ. კარლოსი, ემერსონი (გუტი 32), გაგო (რობინიო 75), მ. დიარა, რაული, იგუაინი (კასანო 46), ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: რამოსი, ვან ბომელი, პოდოლსკი, გუტი, დიარა, ვან ბომელი, დიარა
გაძევება: ვან ბომელი (82), დიარა (82)
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
66 000 მაყურებელი

*მანჩესტერი (ინგლისი)* 1:0 ლილი (საფრანგეთი) (1:0)

1:0 ლარსონი (72)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, სილვესტრი, კარიკი, სქოულზი, ოში, რონალდუ (პარკი 82), რუნი (რიჩარდსონი 82), ლარსონი (სმიტი 75)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ლილი: ტ. სილვა, შალმე, ტაველარიდისი, პლესტანი, ტაფორო, მაკუნი, დიუმონი (მირალასი 74), კეიტა,ობრანიაკი, ბასტოსი (დებუში 46), ოდემვინგი (ფოვერგი 74)
მწვრთნელი: კლოდ პუელი
გაფრთხილება: მაკუნი, შალმე, რონალდუ, ტაფორო, პლესტანი, რიჩარდსონი
მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)
75 182 მაყურებელი

### ინგლისი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩი
ჩესტერფილდი 1:3 ბრისტოლი

### შოტლანდია

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩები
არბროთი 2:1 ელგინი
ბერვიკი 2:1 დამბარტონი

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
ჰერტა (მ) 2:2 ვილჰელმშაჰენი

### რუსეთი

თასის მერვედფინალი
საპასუხო მატჩები
რუბინი 0:1 *როსტოვი* (1:3)
*დინამო (ბრ)* 0:0 ტორპედო (1:0)

### პოლონეთი

ლიგის თასი. V ტური
კრაკოვია 0:4 ვიძევი

### ამხანაგური მატჩები

უზბეკეთი 0:1 აზერბაიჯანი
ყაზახეთი 2:0 თურქმენეთი
ახალგაზრდულები (U-21)
ბულგარეთი 1:0 ისრაელი

# პანათინაიკოსი: რას იტყვის მუნიოსი განუგრავაზე?

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, გაიოზ დარსაძის ფავორიტი გიორგი განუგრავა ჯერაც „ზესტაფონის" ფეხბურთელია, თუმც ამ გუნდში თამაში აღარ სურს და „ზესტაფონში" არც საშუასეზონო შეკრებაზე იყო.

19 წლის განუგრავა, ვინაც დარსაძის დროს ეროვნულ გუნდში 7 მატჩი ითამაშა, ფაქტობრივად, ჰაერშია გამოკიდებული, თუმც შესაძლოა, მალე ცნობილ უცხოურ გუნდში გადავიდეს.

განუგრავა ათი დღით ბერძნულ „პანათინაიკოსში" იყო გასინჯვაზე, გუშინ კი „პანათინაიკოსის" მეორე გუნდში ამხანაგური მატჩი ითამაშა და ბერძენი ჟურნალისტის ლარი სუსკასის თქმით, ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

განუგრავა დღეს-ხვალ საქართველოში დაბრუნდება და აქ დაელოდება ბერძნული გრანდის პასუხს. იმავ სუსკასის ცნობით, „პანათინაიკოსის" ესპანელი თავკაცი ვიქტორ მუნიოსი განუგრავას ცუდი თვალით როდი უყურებს.

**დავით თავართქილაძე**




როი მაკაი: ჩემპიონთა ლიგის უსწრაფესი გოლის ავტორი

# დაობლებული ლიგა ისტორიას ეთამაშება

## მაკაის პროლოგი და ლარსონის ეპილოგი

**დაობლდა** ჩემპიონთა ლიგა. წინა დღეს გავარდნილ თასის მფლობელ „ბარსელონას" გუშინ ფინალისტიც მიჰყვა — ალექსის თავურმა ლონდონის „არსენალს" 83-ე წუთზე უწია. ამ გოლის წყალობით „პსვ ეინდჰოვენმა" ლონდონელებს ანგარიში გაუთანაბრა და ორი თამაშის ჯამში თავისი სასარგებლო 2:1-იც დაუსვა.

ალექსს ეს შეხვედრა ცხოვრებაში არ დაავიწყდება. როგორ ფიქრობთ, რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ზემოთ ნახსენები გოლით ჰოლანდიური გუნდი მეოთხედფინალში გაიყვანა? რასაკვირველია, მაგიტომაც, მაგრამ სხვა მიზეზიც იყო: გამარჯვების გოლამდე 30 წუთით ადრე ბრაზილიელმა ერთი თავის კარშიც გაიტანა.

მოკლედ, თუკი შეხვედრას რაიმე დრამატიზმი ჰქონდა, მისი შექმნილი იყო.

და კიდევ: ამ შეხვედრაში ყურადსაღები ტიერი ანრის 66-ე წუთზე შესვლა გახლდათ. დაგვეთანხმებით, ასეთი რამ იშვიათობაა, მაგრამ ამჯერად ტრავმამ თავისი პირობა წამოაყენა...

„ალიანს არენაზე" კი „ბაიერნის" ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა როი მაკაიმ ჩემპიონთა ლიგის რეკორდი დაამყარა: ამ შეჯიბრებაში მე-11 წამზე გოლი აქამდე არავის გაეტანა.

საინტერესოა, რომ მიმდინარე გათამაშებაში „რეალთან" საპასუხო შეხვედრამდე მიუნხენური გუნდი მატჩებს მძიმედ იწყებდა. სექტემბრიდან მოყოლებული მას პირველ თხუთმეტ წუთში ერთხელაც ვერ დაელაშქრა მეტოქის კარი, მაგრამ ამჯერად ყველაფერი სხვანაირად მოხდა.

შესვენების შემდეგ მიუნხენელთა მეორე გოლი თავურით ლუსიომ შეაგდო, ბოლოს კი რუუდ ვან ნისტელროიმ მასპინძლებს ერთი პასუხი პენალტით გასცა.

ის, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, მშრალი სტატისტიკაა და ვერანაირად ვერ გადმოსცემს ამ ემოციური, დიდოსტატური და ლამაზი მატჩის შინაარსს, მაგრამ ვითვალისწინებთ, რომ „სარბიელის" მკითხველს შეხვედრა ტელევიზიით ნანახი აქვს და ზედმეტი აღწერებით აღარ გღლით. ერთადერთს იმას შეგახსენებთ, რომ თამაშის მიწურულს ვნებათაღელვამ სლოვაკ მსაჯ ლუბოშ მიხელს მოედნიდან მასპინძელი მარკ ვან ბომელი და სტუმარი მაჰამადუ დიარა გააძევებინა, ხოლო მერე სერხიო რამოსმა საჯარიმოს მისადგომებიდან დაარტყა და გაიტანა, მაგრამ, ვაგლახ, დარტყმამდე ბურთი ხელზე მოხვდა.

ცნობილი შვედი ფორვარდი ჰენრიკ ლარსონი კი „ოლდ ტრაფორდს" დიდებულად ემშვიდობება — „ჰელსინგბორგიდან" სამი თვით ნაქირავებმა თავდამსხმელმა „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გაიყვანა — ეს მატჩი კი მისთვის ბოლო ევროპული იყო „მანჩესტერის" შემადგენლობაში.

დანარჩენი ალექს ფერგიუსონის ხალხმა თავად უნდა გააგრძელოს. 35 წლის ლარსონმა კი „ლილის" კარში 75-ე წუთზე შეაგდო ბურთი.

ხოლო „მილანს" „სან სიროზე" „სელტიკის" დასამარცხებლად დამატებითი დრო დასჭირდა, თუმცა კაკას საამისოდ დამატებითი დროის მხოლოდ სამი წუთი ეყო.

ცნობისთვის: „მილანი" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში აგერ უკვე ზედიზედ მეექვსე სეზონია, გადის. როგორი შედეგია?

**ბაჩუნა ძიძია**

## მეოთხედფინალისტები

ლივერპული, რომა, ჩელსი, ვალენსია, ბაიერნი, პსვ, მილანი, მანჩესტერი

წილისყრა გაიმართება 9 მარტს

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge